# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · სამშაბათი, 9 დეკემბერი 1997 №159 (524) · ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რონალდო · რ. კარლოსი · ბერხკამპი · ზიდანი









## მსოფლიოს 1997 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდების კანდიდატები არიან

**ფიფამ გამოაცხადა, რომ ბრაზილიელები რონალდო (ინტერი) და რობერტო კარლოსი (რეალი), ჰოლანდიელი დენის ბერხკამპი (არსენალი) და ფრანგი ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი) შემორჩნენ სიას, რომელიც მსოფლიოს 128 ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა გამოკითხვით შედგა. 12 იანვარს პარიზის დისნეილენდში დანიშნულ საზეიმო ცერემონიალზე გამოცხადდება 1997 წლის მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელის სახელი.**

## მონატრებულნი მალე შეხვდებიან

ფედერაცია — დეპარტამენტის საქმის გარჩევა ოდნავ კი მიწყნარდა, მაგრამ საბოლოოდ არ დამთავრებულა. ჯერ ერთი, საქართველოს პრეზიდენტის მითითებით, ამ საქმეში მონაწილე მხარეებმა თავიანთი წინადადებები უნდა მოამზადონ და მოსალაპარაკებლად დასხდნენ, მეორე, პრეზიდენტისავე ბრძანებულების თანახმად, ცნობად უნდა მიიღონ, რომ ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს პერიოდში თავისსივე წესდების შესაბამისად ყრილობას მოიწვევს. თუ როდის, ამას აღმასკომის სხდომა დაადგენს. სავარაუდოდ კი, ესოდენ მონატრებული აღმასკომის წევრები 17 დეკემბერს შეიკრიბებიან, თუმცა, თუ მანამდე ნოდარ ახალკაცი მომჯობინდა, შესაძლოა, სხდომა 22, 23 დეკემბრისთვის გადაიტანონ.

მოკლედ, ცოტაც და ყველაფერი ნათელი იქნება, ისიც, თუ ვინ უხელმძღვანელებს საქართველოს ეროვნულ გუნდს ახალი წლიდან.

## ნევიო სკალა და ორი ლევანი

ერთი კვირაა, „სკონტოს“ ქართველი ლევან სილაგაძე დორტმუნდის „ბორუსიაში“ ვარჯიშობს. როგორც ფიფას აგენტმა ილია კოკაიამ გუშინ გერმანიიდან გვაცნობა, „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი ნევიო სკალა და ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად გუნდის სელექციონერი ოტმარ ჰიცფელდი ლევანით დიდად კმაყოფილები ყოფილან, ეგაა, დორტმუნდში ჩასვლამდე ჩვენებური კარგა ხნის უვარჯიშებელი გახლდათ და ცოტა უკლია ჩვეულ ფორმამდე. თუმცა, გამოცდილ სპეციალისტებს რას გამოაპარებ — კოკაიასთვის უთქვამთ, სილაგაძე კარგი ფეხბურთელი გაიზრდებაო. გუშინწინ ლევანს ორმხრივ თამაშშიც მიუღია მონაწილეობა.

მოკლედ, გერმანიიდან კარგი ამბავი შევიტყვეთ, ხოლო სკალა და მისი ამალა საბოლოო პასუხს ერთ კვირაში იტყვიან. მანამდე კი, დღესვე მზად ყოფილან ლევან კობიაშვილთან წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმონ, ყოველგვარი გასინჯვის გარეშე, დორტმუნდელებს არც მისი ტრავმა ანაღვლებთ, არც სხვა რამ, ოღონდ ეგ ბიჭი ჩამოგვიყვანეთო — გაიძახიან.

## ჯამარაულმა ვარჯიში დაიწყო

გოჩა ჯამარაულმა სტამბულის ერთ-ერთ კლინიკაში მარჯვენა საზარდულის ოპერაცია რომ გაიკეთა, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ. მაშინ გოჩამ გვითხრა, ერთ კვირაში ვარჯიშს შევუდგები და, ალბათ, საახალწლოდ ფორმაში ვიქნებიო. ოპერაციის შემდეგ ერთი კვირაც გავიდა, ათი დღეც და გოჩას ჯანმრთელობის შესატყობად კვლავ ტრაბზონში დარეკვამ მოგვიწია — კარგად ვარ, რეაბილიტაციის პერიოდი გართულებების გარეშე მიმდინარეობს, რამდენიმე დღეა, მსუბუქი ვარჯიში დავიწყე, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადები, გუნდთან ერთად დაახლოებით 15 დეკემბრისთვის განვაახლებ ვარჯიშს და, ალბათ, 21-ში ვითამაშებო — გვითხრა ჯამარამ. რაც შეეხება ჩვენებურისთვის ჯერაც გადაუხდელ ორი თვის ხელფასს, ამაზე გოჩამ — მალე ყველაფერს მოვაგვარებო — თქვა.

ისიც შევიტყვეთ, „ტრაბზონი“ მურთაზ შელიათი ყოფილა დაინტერესებული, თუმცა, თურქებს გადაუფიქრებიათ — ახლა გვიანია, „სიტის“ ველარ წავართმევთო.

## მოყვარული ბოროტმოქმედები

მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრის ტელერეპორტაჟი თითქმის ყველა ქვეყანამ გადასცა, თუმცა, რომ არა ფრანგი ენერგეტიკოსების სიმარჯვე, შესაძლოა, ფეხბურთის გულშემატკივართა დიდ ნაწილს ეს ამაღელვებელი სანახაობა ვერც ეხილა.

თურმე მარსელში, ვარსკვლავთა მატჩის დროს, მავანი ბოროტმოქმედები სტადიონის ელექტრომომარაგების ქსელში შეჭრილან და აპარატურის დაზიანება უცდიათ. საფრანგეთის ელექტრომომარაგების კომპანიამ ამის შესახებ მხოლოდ გუშინ განაცხადა, თან ისიც დასძინა, ავისმქმნელებმა საწადელს ვერ მიაღწიეს, მხოლოდ რამდენიმე კაბელი დააზიანესო. იმავე კომპანიის განცხადებით, მარსელის „ველოდრომის“ სტადიონის მესვეურთ ძლიერ უვაჟკაციათ, რათა პირდაპირი რეპორტაჟი შეუფერხებლად განხორციელებულიყო.

„ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბოროტმოქმედნი პროფესიონალები არ იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეცოდინებოდათ, რომელი კაბელი დაეზიანებინათ. კიდევ კარგი, სერიოზული არაფერი მომხდარა. უთუოდ თავზეხელაღებული უნდა იყო, სიცოცხლე საფრთხეში რომ ჩაიგდო“ — განაცხადა კომპანია EDF-ის წარმომადგენელმა. კომპანიას ყველაფერი დაწვრილებით უცნობებია პოლიციისთვის და ფრანგი სამართალდამცავნიც ერთობ სერიოზულად შედგომიან გამოძიებას.

## ფერო გაჩერდა

ბოლოდროინდელ სტატისტიკას თუ ჩავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მადრიდის „ატლეტიკოს“ ჭირვეული პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი უფრო დიდხანს აჩერებს მწვრთნელს, ვიდრე ჩვენებური ხილიანის — გორის „დილა“. ბოლო ორ სეზონში გორელებმა უკვე ოთხი მწვრთნელი მოინელეს — ამირეჯიბის, ვაშაკიძისა და ელიაურის ბედი ახლა ნოდარ კიკნაძემაც გაიზიარა. არადა, ჩემპიონატში მეათე ადგილი და თასის გათამაშების მეოთხედფინალში გასვლა „დილასთვის“ დღეს მაქსიმუმი უნდა ყოფილიყო, თუმცა...

„დილადან“ წასვლა თავად ფერომ გადაწყვიტა. ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა. მიუხედავად ამისა, მას უკვე შეხმიანებია მშობლიური ზესტაფონის „მარგვეთი“, მაგრამ კიკნაძემ იქ დაბრუნება იუარა. მართალია, „ფეროს“ თავისი გეგმები ჯერ არ გაუმხელია, მაგრამ ის კი გვითხრა, მალე იქნებ თბილისის ერთ-ერთ გუნდში დავიწყო მუშაობაო.

## დემე იაშკას ასცდა

გიორგი დემეტრაძეს საქართველოდან წასვლა და კარიერის უცხოეთში გაგრძელება სურდა. ხელს ისიც უწყობდა, რომ ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრს „დინამოსთან“ კონტრაქტი ახლახან დაუმთავრდა. მისი მენეჯერი დიმიტრიოს ბარბაკიდისი პირდებოდა, სასურველი დონის გუნდსაც მოგიძებნიო, მაგრამ დემემ ვერ მოითმინა და „დინამოს“ ხელმძღვანელობამ კონტრაქტის სექტემბრამდე განახლება რომ შესთავაზა, დათანხმდა, თბილისელებმა კი მაისამდე ისრაელში, ფეთახ თიკვას „ჰაპოელში“ გაანათხოვრეს.

დემეტრაძის ისრაელში გამგზავრების შემდეგ გაირკვა, რომ გერმანიაში მოღვაწე წარმოშობით ბერძენმა მენეჯერმა გაცილებით უკეთეს გუნდში, ყოფილი თანაგუნდელის ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგში“ გაუხერხა საქმე, მაგრამ დემე უკვე „ჰაპოელთან“ ვარჯიშობს. თუმცა დროებითი კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია.

## კოშკა შორს გადახტა

როგორც იქნა, „სკონტოსთან“ სამი თვის წინ კონტრაქტზე ხელმოწერილმა, „მორკინალის“ მეკარემ დავით გვარამაძემ რიგელებთან ერთად დაიწყო ვარჯიში. ცოტა ხნის წინ იგი იქაურ ქართველებთან ერთად ლატვიას გაემგზავრა და თამაშსაც იქ გააგრძელებს. რაც შეეხება რევაზ ძოძუაშვილს, მისთვის, თურმე, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციას ქალაქის ცენტრალურ უბანში კეთილმოწყობილი ბინა უქირავებია. ამის გამო ტელეფონიც შეუცვლია და მასთან დაკავშირება ველარ მოვახერხეთ. ესღა გავიგეთ, მიხიჩა ლატვიის ნაკრებს საახალწლოდ ესპანეთთან ამხანაგურად სათამაშოდ ამზადებს.

## ბესიკ ლიპარტელიანი: მე წავედი...



გუშინ საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა „სარბიელს“ აცნობა, რომ ფედერაციაში გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება შეიტანა. ჯერ უცნობია, როდის განიხილავს კალათბურთის ფედერაცია ნაკრების მწვრთნელის საკითხს. ისე კი, ფედერაციაში დღეს თათბირობენ, ოღონდ საქართველოს ჩემპიონატის განახლებაზე.

როგორც ჩანს, ლიპარტელიანის წასვლა მტკიცედ გადაუწყვეტია და ამის მიზეზზეც უახლოეს „სარბიელში“ გაუწყებთ.

## ოლიმპიადა ნაღმების წინააღმდეგ

1998 წლის თებერვალში იაპონია, კერძოდ, ქალაქი ნაგანო ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლებს. იაპონელებმა, მუდამ ახლის ძიებაში რომ არიან, განიზრახეს, ზამთრის ოლიმპიადას მშვიდობის დესპანობაც დააკისრონ. ნაგანოს ოლიმპიადის ორგკომიტეტმა, იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ქალაქის მერიამ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტეს, ოლიმპიადის განმავლობაში დიდი პროპაგანდა გაუწიონ მიწაში ჩაფლული ნაღმების აკრძალვას.

ნაგანოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა დირექტორმა მაკოტო კობაიაშიმ განაცხადა, ესოდენ დიდი შეჯიბრების მიზანი მარტო მედლებისთვის ბრძოლა კი არ უნდა იყოს, არამედ ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის დამყარებაცაო. ისიც თქვა, გაისად ხომ მსოფლიოში სამშვიდობო დეკლარაციის მიღების ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც აღინიშნებაო.

კობაიაშიმ ნაგანოს ოლიმპიადის მომწყობთა სახელით ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე 7 თებერვალს ნაგანოში მიიწვია ნაღმის ბრიტანელი მსხვერპლი — კრის მუნი, რომელმაც მალაიზიაში ნაღმის გაუვნებელყოფისას მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი დაკარგა.

აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს იდეა შესთავაზა, ტურნირის ყველა მონაწილემ სამოსზე ანტინაღმური კამპანიის დევიზი წაიწეროსო.

რაკი ამერიკა ვახსენეთ, ა[illegible] დავძენთ, რომ ამ ქვეყნის კომპიუტერულმა ფირმამ IBM-მა წარმატებით ჩააბარა გამოცდა ნაგანოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს. ახლახან ნაგანოში გამართულ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირზე ამ ფირმის კომპიუტერები პრეს-ცენტრს შესანიშნავად მოემსახურა, არადა, 1996 წელს ატლანტის ზაფხულის ოლიმპიადაზე ჟურნალისტები ხშირად უჩიოდნენ კომპიუტერების გაუმართაობას და უზუსტობას.

• • •

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გუშინ გამოაცხადა, რომ ეკვადორს [illegible] ორგანიზაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება აქვს.

სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ეკვადორი დროებით გარიცხა თავისი შემადგენლობიდან, რადგან ამ ქვეყნის ხელისუფლება ეკვადორის ოლიმპიურ კომიტეტს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა.

გუშინ შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში სოკ-ის წარმომადგენელმა განაცხადა, ეკვადორი სრულუფლებიან წევრად აღვადგინეთო.

I წრე
ჩემპიონატი

# მეღლებს გაზაფხულზე დაითვლიან



[illegible] ფოტო

ერთი კვირაა შემოდგომა მიილია. ჩემპიონატი — წისქვილი დადგა, გაჩერდა. ბოლო მარცვალი სამი დღის წინ ჩამოიფქვა, ჩამოილერლა. და ახლა ჩვენს წინ ერთმანეთში აზელილი, თითქმის ტყუპისცალივით მსგავსი მარცვლების ნამუსრევილაა. თუმცა კი იყო, რამდენიმე სხვა ჯიშისა რომ გამოერია, მაგრამ ამან საშემოდგომო ამინდი ვერ შექმნა.

დაგვიზამთრდა. ამ დროს, ტრადიციულად, შემოდგომის მატჩებს მეხსიერების წისქვილით ჩამოვმარცვლავთ და იმ მატჩის გახსენებას ვცდილობთ, სიახლე თუ არ დაგვანახა, რომ გვაგრძნობინა მაინც.

რით იყო ბოლო, მეცხრე ჩემპიონატის I წრე გამორჩეული? ბევრიც არაფრით. ისევე როგორც სხვა დროს, ახლაც საგრძნობია გუნდების დონის ნელინელ გათანაბრება, რაღა თქმა უნდა, საერთო დონის კლების კვალობაზე.

პირველი წრის ცხრილს მოწინავე ათეულის ბოლომდე რომ ჩავურბინოთ, გუნდებს შორის ძნელად ვიპოვით განსხვავებას. აქ მხოლოდ ცხრილის მეტნაკლებ სიმჭიდროვეს როდი ვგულისხმობ. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ ორი ტიპი ჩამოყალიბდა: გუნდები, რომლებიც როხიანად იწყებენ პირველ წრეს, თავს ლიდერადაც მოგაჩვენებენ, სინამდვილეში კი ჯგუფში დარჩენას რომ გაინაღდებენ ბრძოლას მოეშვებიან. და მეორენი, საქმეს უჩუმრად, უპრეტენზიოდ რომ შეუდგებიან და ხეირიანად მაშინღა გამოჩნდებიან ზემოთხსენებულთ მოწყალების დღეები რომ დაუდგებათ. ამათში, ბუნებრივია, ის გუნდები არ შედიან, ვინც წესისამებრ ევროტურნირის საგზურებისთვის ყოველწლიურად იბრძვიან — „დინამო“, „ბათუმი“ და „კოლხეთი“.

მოდით, ჯერ პირველი ტიპის გუნდები განვიხილოთ — „ოდიში“, თსუ, „მერანი“, „დილა“. ამ ოთხეულში ყველაზე უცნაური გუნდი უდაოდ „ოდიშია“. ჩემპიონატის წინ ვერავინ იფიქრებდა, თუ ამდენს მიაღწევდა გუნდი, რომელმაც შარშანდელი შემადგენლობიდან ლამის ერთადერთი ფეხბურთელიღა შეინარჩუნა. არადა, ახლა ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოახერხოს „ოდიშმა“ საპრიზო სამეულში რომ ვერ მოხვდეს. ისიც ვთქვათ, რატომ არ უნდა მოხვდნენ ზუგდიდელები ევროსაგზურის მფლობელთა შორის. უბრალოდ, მათ, როგორც სტუდენტებს ამის სურვილი არ გააჩნიათ. თანაც ახლა ოდიშელთა მორიგი დაფანტვაა მოსალოდნელი. მათგან განსხვავებით, თსუ ყოველი ქულისთვის ბრძოლას აპირებს, თუმცა კი ამ კლუბის ხელმძღვანელობას კარგად ესმის, რომ მათი გუნდი ევროთასებზე სათამაშოდ მოუმზადებელია. რაც შეეხება „მერანს“, ცხადია ხუთი ქულის დაკლებამ გუნდის შანსები ბევრად შეამცირა, მითუმეტეს „სინათლის“ წლევანდელი ბინადარი შარშანდელივით ველარ ბრწყინავს. და „დილა“? ეს გუნდი ბოლო ორ ჩემპიონატს მოულოდნელად კარგად იწყებს, მაგრამ ტრადიციულად ჩემპიონატს ცხრილის შუაწელში ამთავრებს. რაღა თქმა უნდა, გორელებს არც მწვრთნელის ხშირი ცვლილება წაადგებათ, მაგრამ მათი პოტენცია იმის გარანტიაა, რომ „დილა“ ზემოურებში თუ ვერ გაერევა, ათეულსაც არ ჩასცდება.

წელს ყველაზე ძნელადპროგნოზირებადი გუნდი უდაოდ „მორკინალია“. დებიუტანტებს „დინამოსთან“, „ბათუმთან“, „ტორპედოსთან“, თსუ-სთან ქულების გაყოფა და „კოლხეთის“ ძლევა ძალუძთ, მაგრამ მაჩანჩალა „მეტალურგთან“, „გურიასთან“ და „მაღაროელთან“ წაგებაც შეუძლიათ. ეს, ალბათ, ნაკლები გამოცდილების ბრალია, თორემ „მორკინალს“ ურიგო მომავალი რომ არ ელის, იოლი მისახვედრია.

იყო კიდევ ორი გუნდი, რომელიც ჩემპიონატის წინ სიმაღლეთა დაპყრობას ვეგმავდა, მაგრამ პირველ ბანაკში ასულნი მოწინავეთ ბევრად ჩამორჩებიან. გასაგებია, რომ დებიუტანტ „ლოკომოტივის“ თავდაპირველი განცხადება ხმამაღალი და გაზვიადებული იყო, მაგრამ ვერავის გაუგია, რა მოუვიდა „ტორპედოს“. ნუთუ მხოლოდ აშვეთია იყო „ტორპედოს“ მრისხანე ძალა? მთლად ასეც არაა, მაგრამ ერთმა ტორპედოელმა კი აღიარა, ახლაღა დავაფასეთ — მას რომ გაჰქონდა, თამაში აღარც სხვებს გვიჭირდა, ახლა კი გოლის გატანა რომ გვაგვიანდება, ეს გვრთგუნავსო.

რა ითქმის ქვემოურებზე? ცხადია აქ დიდი ბრძოლა გაჩაღდება. აქედან ისე ჩანს, რომ ამ ბრძოლაში „მარგვეთი“ განწირულია. „მეტალურგს“, „სამგურალს“, „გურიას“, „სიონსა“ და „მაღაროელს“ კი ერთი უპირობოდ გასავარდნი და ორი საშიში ადგილის ასაცილებლად მთელი გაწამაწია ელით. გავარდნის საშიშროებას მხოლოდ ორი აიცილებს, მაგრამ ვინ, ძნელი სათქმელია. „ქვედა ჯგუფში“ აშკარად ტოლძალოვანთ მოუყრიათ თავი, ყველაზე ძლიერი „მაინც“ „სიონი“ უნდა იყოს, მაგრამ ამას მინუს ხუთი და ფინანსური გასაჭირი დაღად აზის.

არ შეიძლება ევროპანაჩვევ სამეულზეც არ ვთქვათ. გასაკვირად, ამათში საუკეთესო ჯერ მხოლოდ მეორეა. „ბათუმს“ ექვსქულიანი სხვაობის მიუხედავად ჩემპიონობისთვის ბრძოლაც შეუძლია. თუ ამ ჩინებულმა გუნდმა ალაგ-ალაგ მისთვის ჩვეული დაუდევრობა არ გამოიჩინა. დაუდევრობანი წელს ვერც „დინამომ“ აიცილა თავიდან — ფრე „მაღაროელთან“ და „მორკინალთან“, წაგება „ბათუმთან“ შესაძლოა საბოლოოდ დამღუპველიც გამოდგეს. თანაც ახლა ჩემპიონი აშკარად ვერაა უძლეველი გუნდი. ენახოთ რას შემოგვთავაზებს გაზაფხულზე. შედარებით სუსტი, ცხადია, „კოლხეთია“. ფოთელებს ძლიერ დაეტყოთ გიორგი დარასელიას დაკარგვა — ამას აქამდე უპრეცედენტო საშინაო მარცხებიც მოწმობს თსუ-სთან, „ოდიშთან“, „დილასთან“. თუმცა, რაკი სეზონთაშორისში კოლხებმა მხოლოდ ელდარ გვასალია გაასხვისეს, ტორჩინავა და ამაშუკელი კი შეინარჩუნეს, ევროტურნირების ერთ-ერთი საგზურის მაძიებლად, ცხადია, ისინიც ითვლებიან. დასავიწყარი არც ისაა, რომ ამ გუნდს სატურნირო ბრძოლის დიდი და კარგი გამოცდილება აქვს. ესაც საქმეა.

უყურადღებოდ ვერც მსაჯობას დავტოვებთ. თემიდის მსახურობა, თითქოს, ოდნავ გაუმჯობესდა, მაგრამ მათ წელსაც იმდენი იალლიში შეიმთხვიეს, ძნელია მსაჯობის დონეს დამაკმაყოფილებელზე მეტი უწოდო. თანაც ბევრის მსაჯობაში, უხილავი ძალის ნებაც გამოსჭვივის. მაგალითად, გაუგებარია, რატომ შემოსწყრნენ ბოლოსკენ თსუ-ს, რომელსაც თავიდან თუ არ წყალობდნენ, სიმპატიით მაინც ეპყრობოდნენ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## ბათუმი 1:0 დინამო

### მოვლენა

„ბათუმისგან“ 1:0 „დინამოს“ ძლევა მართლა მოვლენაა, რადგან ეს აქამდე მხოლოდ ერთხელ პირველ ჩემპიონატში მოეხერხებინა. ამ მოგებით ზღვისპირელებმა პირველი წრის ბოლოს სწრაფად გამქრალი ინტრიგა იხსნეს და მართალია, 6 ქულას აგებენ, მაგრამ ჩემპიონობის შანსი მაინც შეინარჩუნეს. ამის თქმის მიზეზი ბათუმელთა ლაღი, გამართული, [illegible]მიური და ამოდ სპექრი თამაშია.

### მოულოდნელობა

## მაღაროელი 1:1 დინამო

ჭიათურაში ფრე „დინამოსთვის“ უპატიებელი ცოდვაა, რადგან „მაღაროელი“ აუტსაიდერთა შორისაა და, მართალია, შინიდან მხოლოდ თსუ და „ტორპედო“ გაუშვა გახარებული, თბილისელებთან უშანსოდ იყო. იმერელთაგან „დინამოს“ გამწარება, უეჭველია, მათი უშიშობით უნდა აიხსნას, რადგან სტუმრებს მოშვებულად სხვა დროსაც უთამაშიათ, მაგრამ უძლეველობის რეპუტაცია წახმარებიათ. ამ შედეგმა სხვა გუნდებს „დინამოს“ კომპლექსი უნდა მოუხსნას. თანაც „მაღაროელმა“ ჩემპიონთან ყაიმი მაშინ შეძლო, როცა 0:1 აგებდა. ასეთი სხვაობის ამოქაჩვა თბილისელებთან ყველას უჭირს, ჭიათურელთაგან ეს მით უფრო შეუძლებელი ჩანდა.

## მერანი 1:2 ბათუმი

### სკანდალი

ასეთი რამ კარგა ხანია, არ ყოფილა. არა, მსაჯზე გაწევა, წყვილად გაძევება და მაყურებელთა გავეშება როგორ არ გვახსოვს, მაგრამ... აქ საქმე ლამის ტრაგედიამდე მივიდა: ნერვებმოშლილ არბიტრ ელგუჯა სილაგავას კეფაზე კაპილარი გაუწყდა და ბედად გადარჩა, თანამსაჯ ვახტანგ ჩოჩიშვილს კი უცნობი პირი მიეჭრა და უთავაზა, მაგრამ ხურდა რომ მიიღო (თავზე ალამი გადაატყდა), მერე კი შეეშვა. არანაკლები მოხდა მატჩის შემდეგაც, როცა მსაჯთა დაცვა „მერანის“ პრეზიდენტს თავად მოუწია. მოკლედ, „მერანმა“ ხუთი ქულა დაკარგა.

### გმირი

## კობა წიტაიშვილი

„შევარდენის“ სტადიონი ჩემპიონატის ულამაზეს გოლთა სავანეა. აქ გავიდა ლევან ყიფიანის გოლი, ზაზა ჯანაშიას მაკრატელა და ახლა კობა წიტაიშვილის აბრაგანი. ვინც ეს გოლი ვერ იხილა, ბევრი წააგო. „მორკინალი“ — „ოდიშის“ თამაშიცა და მთელი პირველი წრეც ამ გოლის ნახვად ღირდა.

## დავით ყიფიანი

### ანტიგმირი

ჩემპიონის მწვრთნელი რომ მსაჯს სცემს, ეს უკვე სკანდალია. ნაკრების მწვრთნელი რომ მსაჯს სცემს — ორგზის სკანდალი. ყიფიანის საქციელს, შეეძლო, „დინამოსთვის“ 5 ქულა წაერთმია, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტს გამბედაობა არ ეყო. მსაჯის ნებისმიერი მცემელი ანტიგმირია, თუ ამაში საბაბის მიმცემმა მსაჯმა არ შეუშალა ხელი. მაგრამ როცა ამ უმსგავსობას მწვრთნელი სჩადის, საფიქრალი აღარაფერია. თანაც ყიფიანმა თავისი რისხვა მსაჯის გარდა მაყურებელსაც დაატეხა.

## პირველი წრის ყველა მეგოლე

**დინამო 40**
10 - მუჯირი
ხომერიკი
6 - იაშვილი
3 - ალექსიძე
კიკნაძე
2 - გოგობერიშვილი
ჩხაიძე
1 - გელაძე
დემეტრაძე
გ. კვარაცხელია
ცქიტიშვილი

**კოლხეთი 31**
8 - ე. გვასალია
7 - წიწვიაძე
5 - მიქაბერიძე
4 - ტორჩინავა
3 - ლაღანიძე
2 - ქობულაძე
1 - გიორგაძე
ფანჩულიძე

**ბათუმი 30**
10 - მაჭუტაძე
3 - აფხაზავა
თორლაშვილი
სიჭინავა
ჩუხუა
2 - ღლონტი
1 - კანტიძე
ი. მახარაძე
ტოგონიძე
ყულეჯიშვილი
გ. შეყილაძე
ქიქველიშვილი

**სიონი 24**
8 - ისიანი
5 - ტრაპაიძე
ტყავაძე
1 - მოსეშვილი
ტარტარაშვილი
ყაველაშვილი
შაკიაშვილი
ჩლაიძე
წიკლაური

**ტორპედო 24**
7 - მეგრელაძე
ქებაძე
2 - იონანიძე
ჯ. კვეტენაძე
შ. ხუჯაძე
ჯანაშია
1 - კ. მეტრეველი
შენგელია

**ოდიში 23**
10 - კალანდაძე
5 - წიტაიშვილი
2 - ენდელაძე
ივეჩიანი
1 - თოლორდავა
კაიდარაშვილი
ლურსმანაშვილი
რევაზიშვილი

**თსუ 21**
7 - რუსია
4 - გიორგი ქორიძე
3 - კ. მელქაძე
2 - ყოლბაია
1 - ი. ბახტაძე
ვერემჩუკი
კანკავა
შალამბერიძე
შ. ჩომახიძე

**მერანი 21**
7 - დავითაშვილი
5 - გოდერძიშვილი
3 - დანელია
1 - გაბისონია
ივანიშვილი
ინიაშვილი
კაკუბავა
ბ. კვარაცხელია
გელა ქორიძე

**გურია 18**
4 - ბულუხია
ჯ. კვეკვესკირი
3 - ბერიძე
ჩხეტია
1 - განევი
ლორია
პატარაია
ქიქავა

**სამგურალი 17**
4 - კ. ჯანაშია
3 - თევდორაძე
სუხიაშვილი
2 - გ. ჯანელიძე
1 - გიორგობიანი
დარსაძე
გ. ვაშაკიძე
ფრანგიშვილი
ძაგნიძე

**ლოკომოტივი 17**
7 - გვაზავა
4 - დაუშვილი
2 - ენუქიძე
1 - გამცემლიძე
ერაძე
ბ. კვეტენაძე
გოგიტაძე (ს. კ.)

**მორკინალი 17**
5 - პეტრიაშვილი
3 - კ. გოგოლაძე
გოჩაშვილი
2 - ამბიძე
ი. ვაშაკიძე
1 - მაისურაძე
ქოიავა

**დილა 15**
3 - მარეხაშვილი
მარლიშვილი
2 - შატაკიშვილი
ციცქიშვილი
1 - ჯ. გაგნიძე
თარხნიშვილი
თაყაძე
წკრიალაშვილი
ხაჭაპურიძე

**მეტალურგი 15**
4 - გოგოლაძე
3 - კ. ალადაშვილი
2 - მელაძე
მიშველიძე
ზირაქაძე
1 - ლ. ალადაშვილი
ნ. მინდიაშვილი

**მარგვეთი 12**
4 - კაციაშვილი
2 - სულაკაძე
ფოფხაძე
ფოცხვერაშვილი
1 - მაღრაძე
ტოკლიკიშვილი

**მაღაროელი 12**
3 - ბუიშვილი
მენაბდიშვილი
2 - შეყლაშვილი
1 - აბრამიშვილი
კიპაროიძე
ამბიძე, მ. მახარაძე (ს. კ.)

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | № |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | | | 4:0 | | 3:0 | | 0:0 | 4:0 | 4:0 | 4:0 | 2:0 | | | 2:1 | | | 15 | 12 | 2 | 1 | 40:6 | 38 | 1 |
| 2 | ბათუმი | 1:0 | | | | 0:0 | 2:0 | 1:1 | 4:1 | | | 4:0 | | | 2:0 | | 5:2 | 15 | 9 | 5 | 1 | 30:10 | 32 | 2 |
| 3 | ოდიში | | 1:4 | | 1:0 | | | | | 1:0 | 3:0 | 3:2 | 4:0 | 1:0 | | 4:1 | | 15 | 10 | 1 | 4 | 23:21 | 31 | 3 |
| 4 | თსუ | 0:1 | 0:0 | | | | 0:0 | 0:0 | 2:1 | | | | | | 4:2 | | 5:0 | 15 | 7 | 4 | 4 | 21:11 | 25 | 4 |
| 5 | კოლხეთი | | | 0:1 | 0:1 | | | | | 3:0 | 0:2 | 5:0 | 6:1 | 2:0 | | 6:1 | | 15 | 7 | 3 | 5 | 31:16 | 24 | 5 |
| 6 | ტორპედო | 1:4 | | 4:1 | | 1:1 | | 0:0 | 4:1 | | | 4:0 | | | 1:0 | | 1:1 | 15 | 6 | 6 | 3 | 24:16 | 24 | 6 |
| 7 | მორკინალი | | | 0:1 | | 2:1 | | | 2:2 | 1:1 | 2:0 | | 2:0 | | 2:0 | | | 15 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 21 | 7 |
| 8 | ლოკომოტივი | | | 0:0 | | 1:3 | | | | 1:1 | 2:1 | | 2:0 | 2:1 | 0:0 | | | 15 | 5 | 5 | 5 | 17:23 | 20 | 8 |
| 9 | მერანი | | 1:2 | | 1:0 | | 1:0 | | | | 1:0 | 2:1 | 1:2 | 5:0 | | 1:0 | | 15 | 7 | 3 | 5 | 21:17 | 19 | 9 |
| 10 | დილა | | 1:3 | | 0:2 | | 1:1 | | | | | 2:1 | 2:0 | 2:1 | | 2:0 | 1:0 | 15 | 6 | 1 | 8 | 15:23 | 19 | 10 |
| 11 | მეტალურგი | | | | 0:2 | | | 2:0 | 0:2 | | | | 2:0 | 4:1 | 1:0 | 2:1 | | 15 | 5 | 0 | 10 | 15:29 | 15 | 11 |
| 12 | სამგურალი | 0:2 | 1:1 | | 2:1 | | 3:4 | | | | | | | 3:1 | | 3:0 | 2:2 | 15 | 4 | 2 | 9 | 17:32 | 14 | 12 |
| 13 | გურია | 0:4 | 1:1 | | 1:1 | | 1:1 | 2:1 | | | | | | | | 3:1 | 4:0 | 15 | 3 | 4 | 8 | 18:30 | 13 | 13 |
| 14 | სიონი | | | 6:0 | | 2:2 | | | | 2:2 | 3:1 | | 2:0 | 2:2 | | 4:0 | | 15 | 4 | 5 | 6 | 24:19 | 12 | 14 |
| 15 | მაღაროელი | 1:1 | 1:0 | | 2:3 | | 0:2 | 1:0 | 1:1 | | | | | | | | 2:1 | 15 | 3 | 2 | 10 | 12:33 | 11 | 15 |
| 16 | მარგვეთი | 2:5 | | 0:2 | | 1:2 | | 2:4 | 0:1 | 0:4 | | 1:0 | | | 0:0 | | | 15 | 1 | 3 | 11 | 12:38 | 6 | 16 |


სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

## ინგლისი

# ძოლა დიდი ძალაა

XVII ტური

### ნიუკასლი 0:1 არსენალი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, უოტსონი, პიკოკი, პირსი, პისტონე, ბეტი, ლი, გილესპი, ბარნსი, ტომასონი (ქეცბაია 75), ასპრილია (ალბერი 62)

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, ადამსი, კეონი, უინთერბერნი, პარლოუ, პეტი, პლატი, ოვერმარსი, რაიტი, ბერხკამპი

0:1 რაიტი (36)

ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ საკმაო დროა, თუმცა, ახლავე შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ნიუკასლი" ჩემპიონობას ველარ მოიგებს. არადა, სეზონის წინ ჩრდილოელნი სწორედ ამას გეგმავდნენ. დღესდღეობით „ნიუკასლი" იმ გუნდთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის დასამარცხებლად მხოლოდ ერთი გოლია საჭირო. კლუბი ასე თუ დაუძლურდებოდა, მით უმეტეს კენი დალგლიშის ხელში, არავის ეგონა. იქნებ ასე არც მომხდარიყო, გუნდს შირერი და ასპრილია რომ არ დაკლებოდა, მაგრამ თუ გუნდი ხარ და ისიც ჩემპიონობისთვის მებრძოლი, ლიდერთა გარეშეც უნდა შეგეძლოს ბრძოლა...

ზემოთ დალგლიში ვახსენეთ. 70-80-იან წლების აღიარებულ თავდამსხმელთა შორის ამ შოტლანდიელ ფეხბურთელსაც ეჭირა თავისი ადგილი და თანაც საკმაოდ გამორჩეული. კენი დალგლიში ყმაწვილკაცობიდანვე „ლივერპულში" თამაშობდა და კარიერის დასრულამდე უერთგულა კიდეც „წითლებს", თუმცა, „ბლექბერნში" გატარებული სეზონისას ერთი-ორჯერ ჩემპიონატში „თეთრ-ლურჯების" მაისურითაც ითამაშა. მის კარიერაში მრავალი სახელოვანი გამარჯვებისთვის მიუღწევია, მაგრამ იგი, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, კარგი ფეხბურთელობის გარდა მწვრთნელიც ძლიერი გამოდგა, რაც საერთოდ იშვიათად ხდება. ამაზე მის მიერ გაწვრთნილი კლუბების შედეგები მეტყველებს. იმავე „ლივერპულმა" შოტლანდიელის თავკაცობით ჩემპიონობა და ასოციაციის თასი მოიგო. ჩემპიონი გახდა „ბლექბერნიც". ნიუკასლშიც იგივეს ელოდნენ. ყველას სწამდა, რომ ინგლისურ ფეხბურთში დაბრძმედებული დალგლიში გუნდს ჩემპიონობას მოუტანდა, მაგრამ პირველ სეზონში გუნდი მეორე იყო, ახლა კი... ისე, თუ ინგლისური გუნდების წარმატებათა ნუსხას თვალს გადავავლებთ, მერე კი მათ მწვრთნელებსაც ჩავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ხშირ შემთხვევაში პრემიერლიგის გუნდებისთვის ოქროს ხანა შოტლანდიელი მწვრთნელების დროს დგებოდა. სხვათა შორის, თუ დალგლიშმა სასწაული მოახდინა და „ნიუკასლი" ჩემპიონი გახადა, ინგლისური ფეხბურთის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე იგი ერთადერთი მწვრთნელი იქნება, ვინც სამი სხვადასხვა გუნდი აიყვანა ქვეყნის საფეხბურთო მწვერვალზე.

იმედს ვიტოვებთ, რომ „ნიუკასლი" ამ სეზონში თუ არა, მომავალ წელს მაინც გახდება ჩემპიონი. ჯერჯერობით კი მათი თამაშის შემხედვარე ამას ნამდვილად ვერ იტყვი.

ამჯერად „ნიუკასლი" ლონდონელ "მეთოფეებს" მასპინძლობდა. აქამდე შინ ზედიზედ ხუთი მატჩი არ წაეგო, თუმცა, არსენ ვენგერის ინტერნაციონალური „არსენალი" ჩრდილოინგლისელთათვის ძლიერი გამოდგა, არადა, გასულ სეზონში „ნიუკასლმა" ორჯერ დაამარცხა „არსენალი" — 2:1 შინ და 1:0 სტუმრად. ახლა იგივე არ განმეორდა და თუ სადმე საფეხბურთო სამართალი არსებობს, ალბათ არც უნდა განმეორებულიყო. პირველი სახიფათო დარტყმა მასპინძელთა იტალიელმა მცველმა ალესანდრო პისტონემ განახორციელა, თუმცა ინგლისის პირველი მეკარე დარტყმულს აუღელვებლად შეხვდა. შემდეგ უკვე სტუმრების ჯერი დადგა. ერთიმეორის მიყოლებით მეტად სახიფათოდ შეუტიეს ოვერმარსმა, რაიტმა და ბერხკამპმა, მაგრამ შაკა ჰისლოპი კარის ხაზზეც და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამოსვლებზეც საკმაოდ ზუსტად ირჯებოდა. მიუხედავად ამისა, პირველივე შეცდომა გოლად ექცა — იან რაიტმა, „არსენალის" ყველა დროის უპირველესმა ბომბარდირმა, რომელმაც აქამდე ზედიზედ ექვს მატჩში ვერ გაიტანა, სეზონში მეათე გოლი შეაგდო. მთელი დარჩენილი დრო, თითქმის ერთი საათი, მასპინძლებს ხეირიანი არაფერი შეუქმნიათ, „არსენალმა" კი დიდი ანგარიშით რომ ვერ მოიგო, ბერხკამპის უზუსტობას და ჰისლოპის თავგანწირულ თამაშს უნდა დააბრალოს.

...თითქმის ორთვენახევრის შემდეგ ფაუსტინო ასპრილია „ნიუკასლს" დაუბრუნდა, თუმცა, ერთი აცილებული „მაკრატელას" გარდა თავი არაფრით გამოუჩენია. ისე, ნიუკასლელები ამ შავკანიან თავდამსხმელს ახლა კი ქომაგობენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მას, უეჭველია, არავინ უგულშემატკივრებს — კოლუმბია ხომ ინგლისის ჯგუფში მოხვდა.

### ლივერპული 1:3 მანჩესტერი

**ლივერპული:** ჯეიმსი, კვარმე (ბერგერი 60), მაკატირი, კარაგერი, მატეო, ბიორნებიუ (რიდლე 72), რედნაპი, ლეონარდსენი, მაკმანამანი, ოუენი, ფაულერი

**მანჩესტერი:** შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, პალისტერი, ფ. ნევილი, ბერგი, ბათი, ბექემი, გიგზი, კოული, შერინგემი

0:1 კოული (51), 1:1 ფაულერი (60 პ), 1:2 ბექემი (70), 1:3 კოული (74)

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია — უთქვამს ბრძენ კაცს და ეს სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო შაბათს „ენფილდ როუდზე" ჩატარებული მატჩისთვის, ოღონდ მცირეოდენი ცვლილებით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ „ლივერპულის" გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ გასულ ჩემპიონატში შინ, იმავე ანგარიშით წვნეული მარცხი. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ — ყველაფერი ახალი კარგად დამახსოვრებული ძველია.

მართლაც, ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, „ლივერპულის" ფანებს ჯერაც ვერ მოუნელებიათ ის მარცხი. შარშან ბებერი გარი პალისტერის ჯეიმსის კართან ორ მიახლოებას თაურით ამდენივე გატანილი გოლი და ჩემპიონობის მოპოვების შანსის ხელიდან გაშვება მოჰყვა. ეს მაშინ როცა პირველობა დასასრულს უახლოვდებოდა. დღესდღეობით კი ჩემპიონატის ნახევარიც არ გასულა, მაგრამ სტუმარ-მასპინძელს შორის 12-ქულიანი სხვაობა „ალისფერებს" იქნებ ჩემპიონატის ბოლომდეც ეყოთ.

ბოლო ორი ათწლეულის ინგლისის უძლიერესი გუნდების დავაში უფრო თანამედროვე, არაინგლისური სტილის ფეხბურთის მიმდევარმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" იმარჯვა. თანაც ისე, რომ მანჩესტერიდან ლივერპულში ჩასული 4 ათასი გულშემატკივარი წამითაც არ დაეჭვებულა საყვარელი გუნდის საბოლოო გამარჯვებაში. პირველი ტაიმი უფრო გულად მებრძოლთა ომი იყო, ვიდრე ფეხბურთელთა თამაში, მაგრამ მთლიანობაში მეტად პრინციპულ მატჩს არაფერი დაჰკლებია, პირიქით, მეორე 45 წუთი მარტო ამ შეხვედრის კი არა, იქნებ მთელი ჩემპიონატის მშვენებაც იყო.

„იუნაიტედმა" დამსახურებულად იმარჯვა, მაგრამ თერთმეტ სტუმარში იყო ერთი მოთამაშე, რომლის მოქმედება ქომაგს, რაც არ უნდა სძულებოდა მანჩესტერელები, გულგრილს ვერ დატოვებდა. იგი ზანგი ენდი კოული იყო, რომელიც აშკარაა, ტრავმის შემდეგ, როგორც ფეხბურთელი ხელახლა დაიბადა. იგი მანჩესტერში ორი წლის წინ გადავიდა. მას შემდეგ ხეირიანად ვერ იქნა და ვერ ითამაშა. მავანნი ფერგიუსონს მის გაყიდვას უკიჟინებდნენ, მაგრამ ცბიერმა შოტლანდიელმა მწვრთნელმა (აქაც შოტლანდიელი!) მათ ყური არ დაუგდო და თავის ურყევ პრინციპებს უერთგულა. კოული შეუდარებელი იყო, ბრწყინვალედ თამაშობდა და გარდა იმისა, რომ ორჯერ იხეირა, სტუმართა მესამე გოლშიც არცთუ მცირე წვლილი შეიტანა — მისი შეჩერება ჯემი კარაგერმა წესების დაცვით ვერ შეძლო და არბიტრმაც ჯარიმა დანიშნა, რაც დევიდ ბექემმა ულამაზეს გოლად გარდასახა. სამი გოლი, სამი ქულა — აი ის ნადავლი, რაც „იუნაიტედმა" ლივერპულში მოიხვეჭა.

მოკლედ, „ბიტლზების" მშობლიურ ქალაქში ფერგიუსონის ბიჭების სტუმრობა დამხდურთათვის სასიკეთოდ ვერ დამთავრდა. წაგებას კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ ყველაზე სამწუხაროა, რომ მეტოქე შინ, საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ დაგამარცხებს და თან ხელს, ამ შემთხვევაში ფეხს არ გაგანძრევინებს.


REUTERS

ლივერპული — მანჩესტერი. წამიც და კოული (9) მესამედ აიღებს ჯეიმსის კარს

### ტოტენჰემი 1:6 ჩელსი

**ტოტენჰემი:** უოქერი, კალდერვუდი, ფოქსი, ნილსენი (ანდერტონი 60), ვეგა, უილსონი, კარი, სკაილზი (ალენი 71), სინტონი (ედინბურგი 56), ფერდინანდი, ჟინოლა

**ჩელსი:** დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, უაიზი, დაბერი, ლე სო, სინკლერი, ბაბაიარო (ნიკოლსი 20), დი მატეო, ფლო, ძოლა

0:1 ფლო (40), 1:1 ვეგა (43), 1:2 დი მატეო (48), 1:3 პეტრესკუ (59), 1:4 ფლო (63), 1:5 ნიკოლსი (78), 1:6 ფლო (90)

რომ არა ჩია იტალიელი, ლონდონელი არისტოკრატები ასე გამანადგურებელი ანგარიშით ალბათ ვერ მოიგებდნენ. „ჩელსის" მოთამაშე მწვრთნელს, ჰოლანდიელ რუდ გულიტს, რაც „ჩელსის" მწვრთნელობა დაიწყო, თამამად შეიძლება ითქვას, ძოლას შეძენაზე უფრო ჭკვიანური ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს.

ლონდონური დერბი მეტად ლამაზი გამოდგა, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველი სახიფათო მომენტები განადგურებული უოქერის კართან კი არა, საპირისპირო მიმართულებით იქმნებოდა. ჟინოლა, სინტონი, სკაილზი, კარი — აი ხალხი, რომლებმაც დე გუი დაღალეს, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. ცოტა არ იყოს, უცნაურია, მათ შორის ფერდინანდი რომ არ იყო. ექსნიუკასლელი და ალბათ ინგლისის ნაკრების უკვე ყოფილი ფორვარდი ძალიან უნიათოდ, უჯიგროდ თამაშობდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თავდამსხმელი საერთოდ არ იყო აზრზე და არ იცოდა, რა ეკეთებინა.

ამასობაში „ჩელსი" მასპინძელთა დაცვაში ნაპრალებს ეძებდა, ბოლოს კი ისე მოხდა, რომ სტუმართა შეტევებმა საერთოდ წალეკეს „ტოტენჰემის" დაცვა. პირველ ტაიმში ეს არ იგრძნობოდა, მაგრამ 15-წუთიანი დასვენების შემდეგ მატჩის განახლება და უოქერის კარში გოლის გასვლა ერთი იყო. ის, რომ ძოლამ ოთხი საგოლე პასი გააკეთა, ორშაბათის „სარბიელშიც" გაცნობეთ, ამჯერად მხოლოდ გულიტის მატჩის შემდგომ ნათქვამს დავამატებთ — იტალიაში ძოლას მეტოქე ვიყავი, მაგრამ მაშინ მის ძალებს რეალურად ვერ ვაფასებდი. ახლა კი დავრწმუნდი, რომ იგი მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეაო.

### ბლექბერნი 3:1 ბოლტონი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა, შერვუდი (ფლიტკროფტი 77), ჰენდრი, რიპლი (ბოჰინენი 72), ენჩოსი, დაფი (უილკოქსი 70), კროფტი, მაკინლი, გალაჰერი, სატონი

**ბოლტონი:** ბრენენი (უორდი 88), ფრანდსენი, პოლოკი, სელარსი, ბერგსონი, ტოდი, ფიში, უაითლი, ჰოლდსუორსი (გუნლაუგსონი 67), ტომპსონი, ბლეიკი

1:0 გალაჰერი (4), 2:0 სატონი (21), 2:1 ფრანდსენი (84), 3:1 უილკოქსი (90)

„ბოლტონმა" ზედიზედ მეოთხე გასვლითი მატჩი წააგო. როი ჰოჯსონმა მატჩის შემდგომ განაცხადა, ახლა მანჩესტერელებთან წაგების გაანალიზებას არ ვაპირებ, მაინც ყველაფერმა ჩაიარა, მირჩევნია, გუნდი კვლავ საჩემპიონოდ განვაწყო, მით უმეტეს, ლიდერთან სხვაობა არც ისე დიდაო.

### ლიდსი 0:0 ევერტონი

**ლიდსი:** მარტინი, ჰალე, უეზეროლი, რადებე, რობერტსონი, კული, ჰაალანდი, ბოუერი (ჯიმი 73), კიუელი, უოლესი, რიბეირო

**ევერტონი:** მერი, უორდი, შორტი, უოტსონი, ტილერი, ბინჩლიფი, ფარელი, უილიამსონი, სპიდი, ფერგიუსონი, ბარმბი

ლიდსის „ელანდ როუდზე" „ევერტონმა" ბოლოს 1951 წელს მოიგო, ხოლო ბოლო 11 მატჩიდან მხოლოდ სამჯერ შეძლო გოლის გატანა. ისიც ემატებოდა, რომ „ევერტონმა" უკვე 20 გასვლით მატჩში ვერცერთი ვერ მოიგო. 43-ე წუთზე პრემიერლიგის მაჩანჩალებს გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ საშინელი გვარის პატრონმა, გარი სპიდმა პენალტი მეკარეს ზუსტად ხელებში დაურტყა.

ამ სეზონში პირველად იყო, „ევერტონის" კარი ვეტერან ნევილ საუთჰოლის გარდა სხვამ რომ დაიცვა — ნორვეგიელ ტომას მერის დებიუტს ბრწყინვალე ეთქმოდა.

### ასტონ ვილა 3:0 ქოვენტრი

**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, ჩარლზი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, რაიტი, გრეისონი, დრეიპერი, მილოშევიჩი (იოაკიმი 72), იორკი (ჰენდრი 34), კოლიმორი (ჩურჩიჩი 86)

**ქოვენტრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუსი, უილიამსი, ტელფერი (სტრაჩანი 74), ბრინი, ვილანი (მოლი 56), ნილსონი, სოლტვედტი, დაბლინი, ჰაკერბი (ჰავორთი 69)

1:0 კოლიმორი (21), 2:0 ჰენდრი (71), 3:0 იოაკიმი (85)

პირფორდელი მსაჯი გრემ ბარბერი გულუხვი აღმოჩნდა — საათნახევრის მანძილზე რვა ფეხბურთელის გაფრთხილება და ორი სტუმრის, უილიამსის და ბრინის გაძევება მოასწრო. გაყვითლებულ და გაწითლებულ ფეხბურთელებს შორის ბრინის გაძევებაა აღსანიშნავი — მან სტენ კოლიმორის შეჩერება ვერ მოახერხა და სხვა რომ ვერაფერი იღონა, ადგა და თავდამსხმელს ტრუსები ჩააძრო, რითაც პირველი გოლის ავტორი 33 ათასი ადამიანის თვალწინ საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

### დერბი 2:0 ვესტ ჰემი

**დერბი:** პოომი, როუეტი, კ. პაუელი, სტარიჯი, შტიმაცი, კერსლი, ერანიო (ჰანტი 38), დეილი, კოზლაკი, ბაიანო (დ. პაუელი 83), ვენჩოპე

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, ბრეიკერი (აბუ 46), ანსუორსი, პირსი, ფერდინანდი, ლომასი, ლაზარიდისი (ალვეში 76), მონკური, ლემპარდი, ბერკოვიჩი, ჰარტსონი

1:0, 2:0 სტარიჯი (10, 49)

შეხვედრა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. „დერბი" ყოველმხრივ სჯაბნიდა „ვესტ ჰემს" და მთელი საათნახევრის მანძილზე მეტოქეს მოდუნების საშუალება არ მისცა.

### ლესტერი 1:1 კრ. პალასი

**ლესტერი:** კელერი, სევიჯი, ალეტორნი (უილსონი 51), პრიორი, ელიოტი, კამარკი, იზეტი, ლენონი, კემბელი (მაკმაჰონი 77), კლერიჯი (უოტსი 62), ფენტონი

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, გორდონი, ლინიგენი, უორჰარსტი, ვერტი, როჯერი, პრიდარსონი, ემბლინი (დევისი 73), შიპერლი, პადოვანო (ფალერტონი 53)

0:1 პადოვანო (43), 1:1 იზეტი (90)

კაცნაკლულმა სტუმრებმა ბოლო წუთებში ველარ გაუძლეს მეტოქის გაძლიერებულ ზეწოლას და მხოლოდ ქულა იკმარეს.

### უიმბლდონი 1:0 საუთჰემპტონი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ბლეკველი, ტეტჩერი, სოლბაკენი, გეილი (ჯოუნსი 86), პერი, ჰიუზი, ერლი, კორტი (კიმბლი 58), ერლი

**საუთჰემპტონი:** ჯოუნსი, დოდი, პალმერი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი, ბენალი, დევისი, რიჩარდსონი (სლეიტერი 63), ჰერსტი

1:0 ერლი (18)

შეხვედრას ძლიერ ცოტა, სულ რაღაც 12 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, რაც ამ ჩემპიონატის რეკორდია. ისე, სტადიონზე მისულებმა ალბათ ინანეს კიდეც, ისეთი უინტერესო თამაში გაიმართა. ერთადერთი გოლი ერლიმ, ამ ტურის მეორე ნორვეგიელი დებიუტანტის, სტალე სოლბაკენის პასით შეაგდო.

**ლაშა გოდუაძე**

### სითი 0:1 ვულვერჰემპტონი

**სითი:** მარგეტსონი, ედჯილი, ვიგუნი, ბრაუნი, საიმონსი, ვიკენსი, ბრენენი, უაითლი, დიკოვი, ვან ბლერკი (როსლერი 59), რასელი

შელია სათადარიგოთა შორის იყო.

## საბერძნეთი

მე-13 ტური. პანელიაკოსი — ოლიმპიაკოსი 1:1; კალამატა — ათინაიკოსი 2:0; პანათინაიკოსი — კავალა [illegible]; აეკი — ეთნიკოსი 2:1; იონიკოსი — ირაკლისი 1:0; ოფი — ვერია 3:0; პაოკი — აპოლონი 1:0; პანიონისი — პრუდეფტიკი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 13 | 11 | 1 | 1 | 29:13 | 34 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 10 | 1 | 2 | 32:12 | 31 |
| პანათინაიკოსი | 13 | 10 | 0 | 3 | 31:10 | 30 |
| იონიკოსი | 13 | 10 | 0 | 3 | 26:10 | 30 |
| პაოკი | 13 | 7 | 4 | 2 | 24:14 | 25 |
| ირაკლისი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:16 | 23 |
| ქსანტი | 12 | 6 | 2 | 4 | 26:24 | 20 |
| ოფი | 13 | 6 | 2 | 5 | 21:25 | 20 |
| აპოლონი | 13 | 5 | 2 | 6 | 15:14 | 17 |
| პანიონისი | 13 | 5 | 1 | 7 | 16:18 | 16 |
| პანილიაკოსი | 13 | 5 | 1 | 7 | 21:25 | 16 |
| ეთნიკოსი | 13 | 4 | 1 | 8 | 7:15 | 13 |
| პანახაიკი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:22 | 13 |
| პრუდეფტიკი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:26 | 12 |
| ვერია | 13 | 3 | 1 | 9 | 14:22 | 10 |
| კავალა | 13 | 2 | 2 | 9 | 19:29 | 8 |
| ათინაიკოსი | 13 | 2 | 2 | 9 | 8:22 | 8 |
| კალამატა | 13 | 2 | 2 | 9 | 7:21 | 8 |

## თურქეთი

მე-15 ტური. ქაისერი — გალათასარაი 1:2; ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე 2:2; ტრაბზონი — ქარაბუქი 2:0; ალთაი — ისთანბული 1:3; ანთალია — დარდანელი 0:0; გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი 0:0; სამსუნი — ანკარაგიუჯუ 0:2; შექერსფორი — ვანსფორი 1:1; გაზიანთეფი — ბურსა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 15 | 11 | 3 | 1 | 26:9 | 36 |
| გალათასარაი | 15 | 9 | 3 | 3 | 34:20 | 30 |
| ტრაბზონი | 15 | 9 | 3 | 3 | 28:16 | 30 |
| ბეშიქთაში | 15 | 8 | 5 | 2 | 30:13 | 29 |
| ბურსა | 15 | 8 | 4 | 3 | 23:17 | 28 |
| ისთანბული | 15 | 7 | 5 | 3 | 31:18 | 26 |
| ქარაბუქი | 15 | 7 | 2 | 6 | 17:20 | 23 |
| ქოჯაელი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:17 | 21 |
| სამსუნი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:18 | 21 |
| ანკარაგიუჯუ | 15 | 5 | 5 | 5 | 14:15 | 20 |
| დარდანელი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:15 | 18 |
| ქაისერი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:20 | 18 |
| გაზიანთეფი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:23 | 15 |
| გენჩლერბირლ. | 15 | 3 | 5 | 7 | 12:16 | 14 |
| შექერსფორი | 15 | 3 | 5 | 7 | 16:29 | 14 |
| ალთაი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:29 | 12 |
| ანთალია | 14 | 2 | 4 | 8 | 16:28 | 10 |
| ვანსფორი | 14 | 0 | 3 | 11 | 13:39 | 3 |

## იტალია

სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენეცია | 13 | 9 | 2 | 2 | 22:7 | 29 |
| სალერნიტანა | 13 | 7 | 6 | 0 | 28:12 | 27 |
| ვერონა | 13 | 6 | 3 | 4 | 21:11 | 21 |
| კალიარი | 13 | 5 | 6 | 2 | 18:12 | 21 |
| ტორინო | 13 | 5 | 4 | 4 | 18:19 | 19 |
| პერუჯა | 13 | 5 | 4 | 4 | 13:14 | 19 |
| ფ. ანდრია | 13 | 5 | 3 | 5 | 19:20 | 18 |
| რეჯინა | 13 | 5 | 3 | 5 | 14:15 | 18 |
| რეჯანა | 13 | 5 | 3 | 5 | 11:12 | 18 |
| ტრევიზო | 13 | 4 | 5 | 4 | 16:16 | 17 |
| კიევო | 13 | 4 | 5 | 4 | 12:16 | 17 |
| ლუკეზე | 13 | 4 | 4 | 5 | 13:15 | 16 |
| ანკონა | 13 | 3 | 6 | 4 | 18:20 | 15 |
| პესკარა | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | 15 |
| დი სანგრო | 13 | 2 | 8 | 3 | 18:20 | 14 |
| ფოჯა | 13 | 3 | 5 | 5 | 16:20 | 14 |
| რავენა | 13 | 3 | 4 | 6 | 10:13 | 13 |
| ჯენოა | 13 | 4 | 1 | 8 | 18:24 | 13 |
| პადოვა | 13 | 3 | 3 | 7 | 10:17 | 12 |
| მონცა | 13 | 1 | 8 | 4 | 13:21 | 11 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 16 | 10 | 2 | 4 | 33:20 | 32 |
| გიუტერსლო | 16 | 7 | 8 | 1 | 20:12 | 29 |
| ურდინგენი | 16 | 8 | 5 | 3 | 19:11 | 29 |
| აინტრახტი | 16 | 7 | 6 | 3 | 23:16 | 27 |
| ნიურნბერგი | 15 | 8 | 1 | 6 | 21:18 | 25 |
| ფიურტი | 16 | 7 | 3 | 6 | 17:18 | 24 |
| უნტერჰახინგი | 16 | 5 | 7 | 4 | 20:13 | 22 |
| კოტბუსი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:15 | 22 |
| ზანქტ პაული | 16 | 5 | 6 | 5 | 19:20 | 21 |
| დიუსელდორფი | 16 | 5 | 5 | 6 | 27:25 | 20 |
| მაინცი | 16 | 4 | 7 | 5 | 27:28 | 19 |
| კიკერსი | 15 | 5 | 4 | 6 | 23:26 | 19 |
| ფორტუნა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:23 | 18 |
| ლაიფციგი | 16 | 5 | 3 | 8 | 17:28 | 18 |
| მეპენი | 16 | 3 | 6 | 7 | 20:24 | 15 |
| ვატენშაიდი | 16 | 3 | 6 | 7 | 14:21 | 15 |
| კარლ ცაისი | 15 | 4 | 3 | 8 | 16:24 | 15 |
| ცვიკაუ | 16 | 2 | 5 | 9 | 12:24 | 11 |

## იტალია

### XI ტური

**ბრეშია 3:1 ემპოლი**

ბრეშია: ჩერვონე, ჯ. ფილიპინი, სავინო, ბია (დიანა 77), ადანი, კოზმინსკი (დონი 88), ა. ფილიპინი, ბანინი, პირლო (გორადო 64), ნერი, ჰუბნერი

ემპოლი: როკატი, ამეტრანო (ფლორიანჩიჩი 46), ფუსკო, დ. ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, პანე, ფიკინი, მარტუშელო (კრიბარი 71), კაპელინი, კ. ესპოზიტო

1:0 პირლო (31), 2:0 ადანი (63), 2:1 ფლორიანჩიჩი (66), 3:1 ბანინი (70)

გაფრთხილება: ვ. ფილიპინი, ბია, ადანი, პანე

გაძევება: ფუსკო (67)

**რომა 3:0 ატალანტა**

რომა: კონსელი, კაფუ, პეტრუჩი, პივოტო (დალ მორო 46), კანდელა, დი ფრანჩესკო, დი ბიაჯო, ვაგნერი (სკაპოლო 68), პაულო სერჯიო (გაუტიერი 74), ბალბო, ტოტი

ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, სოტილი, კარერა, ბონაჩინა, ფოლიო (კარბონე 52), სგრო, გალო (ძანინი 52), დუნდიერსკი, ძენონი, ლუკარელი (კაჩა 72)

1:0 კარერა (22ს.კ.), 2:0 ტოტი (27), 3:0 პაულო სერჯიო (32)

გაფრთხილება: კანდელა, დი ბიაჯო, მირკოვიჩი, გალო, დუნდიერსკი

**ლეჩე 0:1 ვიჩენცა**

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, კიპრიენი, ბარონველი, როსინი, მ. როსი (დე ფრანჩესკო 82), მარტინესი, კონტიკიო, კასალე, ატიელკინი, პალმიერი (გოვედარიცა 73)

ვიჩენცა: ბრივიო, ვივიანი, ბელოტი, დიჩარა, კოკო (ფირმანი 83), სკენარდი (მენდესი 77), დი კარლო, ამბროზინი, ამბროზეტი (ბეგეტო 53), ძაული, ლუიზო

0:1 ლუიზო (80)

გაფრთხილება: როსინი, მარტინესი, დიჩარა, ამბროზინი, ლუიზო

# სხვაა სიკეთე, სისულელე — სხვა

**ფიორენტინა 1:1 პარმა**

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, ფირიკანო, პადალინო, სერენა, შვარცი, რუი კოშტა, ბეტარინი (რობიატი 55), ოლივეირა, მორფეო (ფლაკი 82), ბატისტუტა

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, მილანეზე, სტანიჩი, დ. ბაჯო, ჯუნტი (ფიორე 63), ბლომკვისტი (კრიპა 69), კიეზა, კრესპო (აპოლონი 40)

0:1 აპოლონი (53), 1:1 მორფეო (57)

გაფრთხილება: პადალინო, მუსი, კანავარო, კიეზა, ბეტარინი

გაძევება: მილანეზე (35)

**სამპდორია 1:1 ინტერი**

სამპდორია: ფერონი, ბალერი, მანინი, მიხაილოვიჩი, ლაილე, ჰუგო, ბოლოსიანი (სალსანო 78), ფრანჩესკეტი, ვერონი, მონტელა, სინიორი (კლინსმანი 51)

ინტერი: პალიუკა, სარტორი, კოლონეზე, გალანტე, ვესტი, მორიერო (ძანეტი 53), ვინტერი (ბერტი 73), ზე ელიასი (კოე 58), სიმეონე, ჯორკაეფი, რონალდო

0:1 რონალდო (9), 1:1 მონტელა (30 პ)

გაფრთხილება: სარტორი, კოლონეზე

გაძევება: სიმეონე (42)

**იუვენტუსი 2:1 ლაციო**

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, ტორიჩელი, დი ლივიო (ზიდანი 78), კონტე, პეკია (მონტერო 59), ტაკინარდი, დელ პიერო, ინძაგი (ფონსეკა 80)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, ლოპესი (შამოტი 38), პანკარო, ფუზერი, ალმეიდა, მარკოლინი (ბოქშიჩი 46), ნედვედი, მანჩინი (გოტარდი 65), კაზირაგი

1:0 დელ პიერო (15), 1:1 მარკოლინი (25 პ), 2:1 დელ პიერო (34 პ)

გაფრთხილება: ბირინდელი, კონტე, პეკია, მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, ლოპესი, ალმეიდა, ნედვედი

გაძევება: შამოტი (61)

**უდინეზე 4:3 ბოლონია**

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჰელვეგი, ჯანიკედა, ვალემი (სტატუტო 75), ბაკინი, პოჯი, ბირჰოფი, ამოროზო (ლოკატელი 82)

ბოლონია: სტერკელე, პარამატი, ტორიზი, პაგანინი, მანგონე (ტარანტინო 75), მაგონი, კრისტალინი, მაროკი, ნერვო, კ. ანდერსონი (პავონე 56), რ. ბაჯო (კოლივანოვი 46)

1:0 ბირჰოფი (13), 1:1 კ. ანდერსონი (26), 2:1 ამოროზო (36), 2:2 ნერვო (42), 3:2 პოჯი (67), 4:2 ბირჰოფი (82), 4:3 კოლივანოვი (86)

გაფრთხილება: პიერინი, ბირჰოფი, მაგონი, პავონე

გაძევება: პარამატი (51)

**პიაჩენცა 1:0 ნაპოლი**

პიაჩენცა: სერენი, დელი კარი, ვერხოვოდი, მ. როსი, ტრამეცანი, საკეტი, მაცოლა (რასტელი 35), შიენძა, პიოვანი, დიონიჯი (ვალოტი 62), სტროპა (მურჯიტა 68)

ნაპოლი: დი ფუსკო, კრასონი, ბალდინი, აიალა, ფაჩი, როსიტო, გორეტი (ალტომარე 86), ლონგო, ტურინი, პროტი, ბელუჩი (კალდერონი 28)

1:0 რასტელი (87)

გაფრთხილება: ტრამეცანი, საკეტი, შიენძა, რასტელი, ბალდინი, გორეტი

გაძევება: კრასონი (73)

**მილანი 2:0 ბარი**

მილანი: ტაიბი, კარდონე, დესაი, კოსტაკურტა, მალდინი, ბა, ალბერტინი (დონადონი 87), ლეონარდო (მაინი 65), ბობანი, ვეა, კლუივერტი (ა. ანდერსონი 82)

ბარი: მანჩინი, ნეგროიზი, სალა, დე როსა, გარსია, ჯორჯეტი (კაუ 66), ბრეშანი (დე ასკენტისი 55), ვოლპი, ინგესონი, გუერერო, ალბაკი (ოლივარესი 46)

1:0 ბობანი (47), 2:0 კლუივერტი (62)

მართალია სერია A-ს დაწინაურებულ გუნდებზე „ინტერსა" და „იუვენტუსზე" გუშინდელ „სარბიელში" გესაუბრეთ, თქვენი ნებართვით დღეს ორიოდ სიტყვას დავამატებთ. „ინტერის" ფრემ გენუაში, „სამპდორიასთან" გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. აჟიოტაჟის მიზეზი გახლდათ პენალტი, რომლითაც მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ფრანჩესკო კოლონეზეს მიერ ჯუზეპე სინიორის წაქცევისთვის დაინიშნა. სწორედ არბიტრის ამ გადაწყვეტილებამ შვა ეჭვი.

— ჩემპიონის ტიტული რომ მოიპოვო ყველაზე ძლიერი უნდა იყო, მეტოქეებზეც და მსაჯებზეც — თქვა „ინტერის" ვარსკვლავმა რონალდომ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ.

საკუთრივ სინიორიმ, რომელიც „ლაციოდან" „სამპდორიაში" გადასვლის შემდეგ ახალ გუნდში პირველ შეხვედრას ატარებდა, იტალიური არხის, RAI UNO-ს ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში დეტალურად გაიხსენა მომენტი და განაცხადა ერთი ვიცი, რომ ჩემსა და კოლონეზეს შორის კონტაქტი მოხდა, სხვა კი რა მოგახსენოთო.

— სულ გვეხვეწებიან მსაჯებზე კარგად ილაპარაკეთო, მეც, როგორც წესი ასე ვიქცევი, მაგრამ ამჯერად დიპლომატიის ნორმებს დავარღვევ, რადგან ჩვენს კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ჰაერიდან მოტანილი გახლდათ. ასევე იყო მილანური დერბის დროს და გასულ კვირას, „ვიჩენცასთან" შეხვედრაშიც. ამრიგად, ზედიზედ მესამე შეხვედრაა, რაც მსაჯების გამოგონებული პენალტების გამო ვზარალდებით. ჩვენ ცხრილის სათავეში ვართ და ეტყობა არბიტრებს ამასთან დაკავშირებით რაღაც კომპლექსი აქვთ. ალბათ არასრულფასოვნების კომპლექსთან გვაქვს საქმე, თორემ რით უნდა აიხსნას ის, რომ ამ სეზონში, ჩვენს კარში დანიშნული ხუთი პენალტიდან, ხუთივე შეცდომით დანიშნეს? მე არბიტრების პატიოსნებას ეჭვქვეშ არ ვაყენებ, პროფესიულ დონეს კი დიახაც, დაეჭვებით ვუყურებ.. თუ ფეხბურთელი ცუდად თამაშობს, ამაზე ლაპარაკობენ. ვგონებ, თუ მსაჯი თამაშს აფუჭებს, ამაზეც გვმართებს ლაპარაკი. ერთია როდესაც კარგი პიროვნება ხარ და არავის ლანძღავ, მაგრამ როცა სულელი ხარ სხვაა. მაგალითად, მე არ ვისურვებდი სერია B-ში გავარდნას გულკეთილობისა და შემწყნარებლობის გამო. — ეს განრისხებული სიტყვები „ინტერის" პრეზიდენტს მასიმო მორატის ეკუთვნის.

ეპიზოდის გახსენება სთხოვეს კოლონეზესაც: — სინიორიმ ხელი მკრა, რათა წესის დარღვევა გამოეწვია. მე ხრიკს ხელად მივუხვდი და როდესაც მარჯვნივ წავიდა გავიწიე, რათა ავცილებოდი. პრობლემა ის იყო, რომ მან მყისიერად მოასწრო გაწოლა — თქვა მცველმა.

ასე იყო თუ ისე, „ინტერმა" ორი ქულა დაჰკარგა, თან კვირას „სან სიროზე" ზდენეკ ზემანს და მის „რომას", რომელიც მესამე ადგილზეა, რონალდოს გარეშე მასპინძლობს. რონალდო იმ დღეს ბრაზილიის ნაკრებში იქნება დაკავებული. აღსანიშნავია, რომ იმის შემდგომ კვირას, ანუ „რომასთან" თამაშის მომდევნო ტურში, „ინტერი" დღეს მეოთხე ადგილზე მყოფ „უდინეზეს" უდინეში ხვდება.

„ინტერს" „იუვენტუსი" მეტისმეტად მიუახლოვდა. ტურინელებმა შინ „ლაციოს" მოუგეს. ამასთან დაკავშირებით „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თქვა:

— ისეთი დიდი შეხვედრის წინ, როგორიცაა ოთხშაბათის მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედთან", „ლაციოს" ძლევამ ბუნებრივია საკუთარ ძალათა რწმენა შეგვმატა. ინგლისელთა დასამარცხებლად ყველაფერს ვიღონებთ. ჩვენ პირველივე წუთიდან შევუტევთ. ვის ვათამაშებ, ამაზე წინასწარ არასდროს ვლაპარაკობ. ვინც იმ დღეს მოედანზე გავა, ჩემი უსაზღვრო ნდობით იქნება აღჭურვილი. მწამს ფეხბურთელები გულშემატკივართა იმედს არ გაამტყუნებენ, „იუვენტუსი" ხალხს არასდროს ღალატობს.

მოგეხსენებათ, ხვალ, „იუნაიტედის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს დისკვალიფიცირებული ალესანდრო დელ პიერო. მოსალოდნელია, რომ მის ნაცვლად „დელე ალპის" მინდორზე ურუგვაელი დანიელ ფონსეკა გავა, მაგრამ გასაკვირიც ის გახლდათ, რომ „ლაციოსთან" ფონსეკა სულ ათიოდე წუთით შეიყვანეს მოედანზე. ცხადია ჟურნალისტებმა ამის შესახებაც ჰკითხეს ლიპის, ნუთუ ურუგვაელს გასავარჯიშებლად მეტი დრო არ სჭირდებოდა?

— როდესაც შეხვედრის ბედი ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, მომდევნო თამაშზე ვერ იფიქრებ. ასეთ მომენტში იმ შეხვედრის მოსაგებად გჭირდება აზრის თავმოყრა. გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს ესა თუ ის მოთამაშე ათი წუთით შევა მოედანზე თუ ოცდაათით? „ლაციოსთან" მატჩში ჩემს მიერ ჩატარებულ ცვლილებებს ერთადერთი მიზანი ჰქონდა, ეს მიზანი იმ კონკრეტულ თამაშში გამარჯვება გახლდათ — იყო პასუხი.



მილანი — ბარი. ლეონარდო (მარჯვნივ) უტევს სტუმართა კარს

თუმცა ეს ოთხშაბათის შეხვედრას არ ეხება, „იუვენტუსზე" საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის დიდ სიახლეს. ამ სიახლეს ჰოლანდიელი ზანგი ფეხბურთელი ედგარ დევიდსი ჰქვია. დევიდსი ტურინელებმა „მილანისგან" 1,3 მილიონ დოლარად ოთხნახევარი წლით იყიდეს.

— იტალიას ნამდვილი დევიდსი ჯერ არ უნახავს — თქვა დევიდსმა — „იუვენტუსში" გადასვლა ჩემთვის ნამდვილი ოცნების ახდენა გახლდათ. ვთვლი, რომ „იუვე" დღესაც მსოფლიოს უძლიერესი გუნდია. ვიცი, რომ მარჩელო ლიპი პატივს მცემს. არ აქვს მნიშვნელობა რა პოზიციაზე მათამაშებს, მთავარია მათამაშოს.

დევიდსი აგრესიული ნახევარმცველია. უშეღავათო ხასიათის გამო მას ხშირად კორიდის ხარს უწოდებენ, მაგრამ უამრავი დადებითი თვისების მიუხედავად „მილანს" ვერ შეეწყო. რომ ჰკითხეს დაუმორჩილებელი ხასიათის ადამიანი ხომ არ ხართო, ასე უპასუხა:

— ჩემთან ურთიერთობა საკმაოდ იოლია, მაგრამ მოედანზე ვცდილობ ჩემს მიმართ ყველა პატივისცემით განაწყო.

ვინც „იუვენტუსის" თამაშს თვალს ადევნებს, ვგონებთ დაგვეთანხმება, რომ გასულ სეზონთან შედარებით მას ნახევარდაცვაში მეტი პრობლემა გაუჩნდა და ეს ვლადიმირ იუგოვიჩის გაყიდვასთანაა დაკავშირებული. ტყუილად არ ეწინააღმდეგებოდა მარჩელო ლიპი იუგოვიჩის გაყიდვას, გრძნობდა, რომ სირთულე შეექმნებოდა. ნახევარდაცვაში გაჩენილი ბზარის გამო წაგებული მატჩის კარგი მაგალითია ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა მანჩესტერში, „ბებერმა ქალბატონმა" 2:3 რომ იწვნია. ამრიგად, ჰოლანდიელი დევიდსის შეძენამ წესითა და რიგით ტურინის გუნდს უნდა აღუდგინოს შელანძღული თვისება — შეუვალობა.

მესამე ადგილზე, როგორც მოგახსენეთ „რომაა". აი, როგორ შეაფასა „ატალანტასთან" მოგებული შეხვედრა დედაქალაქელთა ჩეხმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა:

— პირველი ტაიმი კარგი იყო, მაგრამ მეორეში ზოგმა ფეხბურთელმა ველარ მოინდომა. „ატალანტას" ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ უპირატესობა არ ჰქონია. მათ რომ გაეტანათ, ჩვენც გამოვფხიზლდებოდით, ასე კი 3:0 ვიკმარეთ.

— „მილანმა" კარგად ითამაშა, ჩქარა და აგრესიულად — თქვა „ბარისთან" გამარჯვების შემდეგ კმაყოფილმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ. — მეტოქეს მომენტი იმიტომ არ ჰქონია, რომ ჩემი თერთმეტივე ფეხბურთელი მობილიზებული იყო. დაცვას ნახევარდაცვამ საუცხოოდ შეუმსუბუქა საქმე. რაც შეეხება პატრიკ კლუივერტის გოლს, მოხარული ვარ, მაგრამ არა მხოლოდ იმით, რომ მან გაიტანა, არამედ იმითაც, რომ თავდაუზოგავად იბრძოლა და ბოლოსდაბოლოს გაიგო რას წარმოადგენს „მილანის" სული.

**პაპუნა ძიძია**

## ფეხბურთის რუკასთან



**შოტლანდიის** მეორე გუნდის, გლაზგოს „სელტიკის" მფლობელმა ფერგიუს მაკკანმა განაცხადა, კუთვნილი აქციების გაყიდვას ვაპირებო. კანადაში დაბადებულმა მაკკანმა 1994 წელს 14 მილიონ 900 ათას დოლარად „სელტიკის" 146 ათასი აქცია, ანუ კლუბის 51 პროცენტი შეისყიდა. მაშინ გუნდი 7 100 აბონემენტს ჰყიდდა წელიწადში, ახლა კი კლუბი 30 ათასამდე აბონემენტს ჰყიდის. დღესდღეობით „სელტიკის" ერთი აქცია 413 დოლარი ღირს.

**გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ ლევერკუზენელთა თავდამსხმელი, დღესდღეობით ბუნდესლიგის ბომბარდირთა ლიდერი ულფ კირსტენი ბოლო ტურში „შალკე 04"-თან მატჩში მომხდარ ინციდენტში გასარკვევად დაიბარა. შეხვედრის დროს კირსტენმა გელზენკირხენელთა მცველს, ტომას ლინკეს სახეში იდაყვი მოარტყა, თუმცა, მეორე დღეს მოუბოდიშა, უნებლიედ მომივიდაო. თუ კირსტენს განზრახ უხეშობა დაუმტკიცეს, ორთვიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან.**

**გერმანიის** ფეხბურთის ფედერაციაში მოყვარულთა კლუბმა „ალემანიამ" იჩივლა, აქაოდა ქვეყნის თასის მერვედფინალში მესამე დივიზიონის „ვალდოფთან" 1:1 დასრულებულ მატჩში მსაჯმა ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალაო. ფედერაციიდან შეუთვალეს, დამშვიდდით, ყველაფერს გავარკვევთო.

**ბრაზილიის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ჯგუფებში ბოლო ტური გაიმართა. A ჯგუფში „ვასკო და გამამ" და „ჟუვენტუდმა" ფრედ 1:1 ითამაშეს, „ფლამენგომ" და „პორტუგეზამ" — 0:0. B ჯგუფში „ინტერნასიონალმა" შინ წააგო „პალმეირასთან" 0:1, „სანტოსმა" კი 1:0 მოუგო „ატლეტიკო მინეიროს". ფინალში A და B ჯგუფის გამარჯვებულები — „ვასკო და გამა" და „პალმეირასი" ითამაშებენ.**

**პორტუგალიის** „ბოავიშტამ" კვირას მთავარი მწვრთნელი მარიო რეისი გაათავისუფლა. „ბოავიშტას" პრეზიდენტ ჟოაუ დოურეირუს განცხადებით, ბოლო დროს მათი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და განშორება გადაწყვიტეს.

**მექსიკის ჩემპიონობა 17 წლის შესვენების შემდეგ „კრუსასულმა" მოიპოვა. ფინალის განმეორებით შეხვედრაში „ლეონის" წინააღმდეგ გამარჯვებულებმა პენალტი შეაგდეს და 1:0 მოიგეს, ორმატჩიანი ფინალი კი 2:1.**

**ნიგერიის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრის შემდეგ ესპანეთში დაგეგმილი შეკრება გააუქმა, რადგან ეს ორი ქვეყანა ერთად მოხვდა მეოთხე ჯგუფში. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ აბდულმუმინი ამინუს თქმით, საფრანგეთში წარმატებულ თამაშზე ახლავე თუ არ იფიქრეს, მერე გვიან იქნება.

**იუგოსლავიის მე-15 ტური. ზელეზნიკი — ობილიჩი 3:4, პროლეტერი — პარტიზანი 1:2, ცრვენა ზვეზდა — რადი 1:0, ზემუნი — ჰაიდუკი (ბელგრადი) 1:0, ვოივოდინა — ჩუკარიჩკი 4:2. 40 ქულით ლიდერობს ცრვენა ზვეზდა, მას 4 ქულით ჩამორჩება ობილიჩი.**

**ხორვატიის** მე-16 ტური. ჰაიდუკი (სპლიტი) — რიეკა 1:1, სლავენი — მლადოსტ 127 2:0, დრაგოვილიაცი — ვარტექსი 0:1, ზადარკომერცი — ოსიეკი 2:1, ზაგრები — შიბენიკი 4:1. 36 ქულით ლიდერობს ჰაიდუკი (სპლიტი), 33 ქულით მეორეა ზაგრები. კროაცია 29 ქულით მეოთხეა, თუმცა სამი თამაშით ნაკლები აქვს.

**ლუქსემბურგის მე-12 ტური. სპორტინგი — ჟენეს ეში 2:5, უნიონი — ვილტცი 3:2, დუდელანჟი — რუმელანჟი 0:0, რედ ბოიზი — პეტანჟი 0:1, გრევენმახერი — ავენირი 0:3, სპორა — ჰობშეიდი 0:2. 32 ქულით ლიდერობს უნიონი.**

**ბელგიის** „ანდერლეხტმა" ჰოლანდიელი არი ჰაანი ახალ მწვრთნელად დანიშნა. მისი წინამორბედი, 48 წლის რენე ვანდერეიკენი გუნდმა წარუმატებელი თამაშის გამო გაუშვა. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში „ფეიენოორდმა" ჰაანიც ამავე მიზეზით გაათავისუფლა.

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 17 | 10 | 3 | 4 | 21:10 | 33 |
| რაიო | 17 | 8 | 6 | 3 | 28:16 | 30 |
| ესტრემადურა | 17 | 8 | 6 | 3 | 19:12 | 30 |
| ლეიდა | 17 | 8 | 5 | 4 | 24:20 | 29 |
| ლას პალმასი | 17 | 6 | 9 | 2 | 32:22 | 27 |
| ეიბარი | 17 | 7 | 6 | 4 | 20:11 | 27 |
| ატლეტიკო | 17 | 7 | 6 | 4 | 24:18 | 27 |
| ორენსე | 17 | 6 | 7 | 4 | 18:13 | 25 |
| ერკულესი | 17 | 7 | 4 | 6 | 22:21 | 25 |
| ლეგანესი | 17 | 6 | 7 | 4 | 14:17 | 25 |
| ვილიარეალი | 17 | 5 | 9 | 3 | 14:15 | 24 |
| სევილია | 17 | 6 | 5 | 6 | 21:19 | 23 |
| ოსასუნა | 16 | 6 | 4 | 6 | 15:13 | 22 |
| ალბასეტე | 17 | 5 | 7 | 5 | 21:21 | 22 |
| ტოლედო | 17 | 3 | 9 | 5 | 17:22 | 18 |
| ნუმანსია | 17 | 4 | 6 | 7 | 12:24 | 18 |
| ბადახოსი | 16 | 2 | 10 | 4 | 14:14 | 16 |
| ელჩე | 17 | 4 | 4 | 9 | 22:29 | 16 |
| ხერესი | 17 | 3 | 6 | 8 | 9:16 | 15 |
| ლოგრონიესი | 17 | 2 | 8 | 7 | 11:19 | 14 |
| ხაენი | 17 | 1 | 8 | 8 | 13:25 | 11 |
| ლევანტე | 17 | 2 | 5 | 10 | 13:27 | 11 |

# ჩვენც გვინდა ტიბორი

უნგრეთში სპორტის დიდი რეფორმა ჩაიფიქრეს. ამისკენ ქვეყნის კანონშემოქმედთ ფეხბურთის ეროვნული პროგრამის საშინელმა ფიასკომ უბიძგათ.

— ჩვენი ფეხბურთის დონე კატასტროფულია, მაგრამ ვგონებ ახალი მიმართულება წარმატებას მოგვიტანს — განაცხადა ტომაშ ტიბორმა, რომელიც „გერევიჩ ალადარის ეროვნული ფონდის" ხელმძღვანელია.

გასულ კვირაში უნგრეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იგი დაამტკიცებს შემოთავაზებულ პროექტს, რომლის თანახმადაც პროფესიული და სამოყვარულო კლუბები მკვეთრად გაიმიჯნებიან, კორპორაციები კი პროფესიულ კლუბებს გაუწევენ სპონსორობას.

როგორც მოგახსენეთ, კანონთა განახლება ოდესღაც დიდი უნგრული ნაკრების გაპარტახებამ გამოიწვია. გეხსომებათ, ამ გუნდმა, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასკვნით ეტაპზე, პლეი-ოფში, იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან ორი შეხვედრის ჯამში 1:12 წააგო. უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის თხუთმეტივე თანამშრომელს გადადგომა ურჩიეს და ამ მასობრივ აქციას შაბათს, გენერალურ ასამბლეაზე ხორცი შეესხა.

— ფედერაციის მოხელეებმა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას ვერ მიაღწიეს. მათ ვერც უნგრულ ჩემპიონატებს გაუკეთეს ხეირიანი ორგანიზაცია — განაცხადა ტიბორმა, რომლის ფონდშიც სკოლის მოსწავლეებს ავარჯიშებენ.

ტიბორის პროექტის შესაბამისად ფეხბურთისა და სხვა სახეობათა პროფესიული გუნდები, თავიანთ კლუბებს გამოეყოფიან. მთავრობის პრეს-მდივნის ელმერ კისის განცხადებით ამ კლუბთა უმეტესობა ზარალშია. მათი ჯამური დავალიანება 39,8 მილიონ დოლარს შეადგენს.

ჩამოყალიბდება პროფესიულ საფეხბურთო კლუბთა ლიგა. მათი მონაწილეობით ეროვნული ჩემპიონატი მომავალი ზაფხულიდან დაიწყება. კლუბებს, როგორც ზევით გითხარით, სპონსორობას კორპორაციები გაუწევენ. ტიბორის პროექტით, სამოყვარულო კლუბს პროფესიონალთა ლიგაში არაფერი ესაქმება.

— დღეს უნგრეთში, პროფესიონალი ფეხბურთელები ნამდვილი პროფესიონალები არ გახლავან. ისინი სპორტული კლუბების თანამშრომლები არიან, სპორტული კლუბი კი ჩვენში საზოგადოებრივი ორგანიზაციაა — თქვა ტიბორმა და დასძინა — ეს სიტუაცია ეკონომიკის თვალსაზრისით წამგებიანია.

პროექტი სახალხო განხილვის საგნად იქცევა, შემდეგ მას პარლამენტში განიხილავენ და იანვრის ბოლოს დაამტკიცებენ.

ვარაუდობენ, რომ სპორტის რეფორმა მხარს გაუმაგრებს უნგრეთისა და ავსტრიის ერთობლივ განაცხადს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის თაობაზე.

# საბედისწერო და არაფრისმომცემი შეხვედრები

CHAMPIONS LEAGUE

**A ჯგუფი**

### სპარტა — დორტმუნდი

პრაღელებმა ორი კვირის წინ მეხივით დაიქუხეს, პარმაში 2:2 ითამაშეს და იტალიის ვიცე-ჩემპიონი მეოთხედფინალს მიღმა დასტოვეს. ახლა კი მათ თამაშს სატურნირო თვალსაზრისით დატვირთვა არ აქვს. დორტმუნდი მეოთხედფინალისტია და არც მისთვის აქვს ხვალინდელ შეხვედრას რაიმე მნიშვნელობა. „სპარტას" ხვალ არ ეყოლება დისკვალიფიცირებული მიხალ ჰორნაკი და ტომაშ რეპკა, „დორტმუნდს" კი თამაშაკრძალული არავინ ჰყავს. ერთადერთი, რასაც გერმანელები უნდა უფრთხილდნენ, ჰაიკო ჰერლიხის, შტეფან როიტერის და პაულუ სოუზას გაფრთხილებებია. მათ თუ პრაღაში ყვითელი ბარათი მიიღეს, მეოთხედფინალის გამოტოვება მოუწევთ.

### გალათასარაი — პარმა

სტამბოლელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ოქანი და რუმინელი გეროგ ჰაჯი, პარმელებს — არავინ. ამ შეხვედრას მნიშვნელობა არც ერთისთვის აქვს და არც მეორისთვის.

**B ჯგუფი**

### იუვენტუსი — მანჩესტერი

ტურინის „სტადიო დელე ალპიზე" გაიმართება ლიგის ბოლო ტურის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული შეხვედრა. „იუვენტუსს" მეოთხედფინალში გასვლა თუ სურს, აუცილებლად უნდა მოიგოს, მანჩესტერის გუნდს კი თავი ქუდში აქვს და, როგორც მისმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, იტალიაში ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ლაღად სათამაშოდ ჩავა. აღსანიშნავია, რომ ტურინელებს, რომელთაც დისკვალიფიკაციის გამო ჩინებულ ფორმაში მყოფი ვარსკვლავი, ალესანდრო დელ პიერო არ ეყოლებათ, თავისაზე არანაკლებ სხვათა შედეგები აინტერესებთ, რამეთუ თავად რომც მოიგონ, თუ ნორვეგიულმა რუსენბორგმა პირეოსში „ოლიმპიაკოსს" აჯობა, „მონაკომ" კი ლევერკუზენში, ვთქვათ, ფრე ითამაშა, მეოთხედფინალს მიღმაა დარჩებიან.

„იუნაიტედს" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს, მაგრამ რაიან გიგზი და პოლ სქოულზი ყვითლებს უნდა ერიდონ, რათა მეოთხედფინალში თამაშის უფლება შეინარჩუნონ. ტურინელებს ამისათვის არ ეცხელებათ, მაგრამ ანალოგიური საფრთხის წინაშე მაინც ჰყავთ დიდიე დეშამპი, ანჯელო დი დივიო, დიმაში, ფაბიო პეკია, ჯანლუკა პესოტო და ალესიო ტაკინარდი. ნიკოლა ამორუზო, მოგეხსენებათ, სერიოზულადაა ტრავმირებული.

### კოშიცე — ფეიენოორდი

სლოვაკეთის ჩემპიონს ლიგაში ერთი ქულაც არ მოუპოვებია. სხვა თუ არაფერი, ეს თავმოყვარეობის საკითხია, მაგრამ თავმოყვარეობაც რომ არა, საქმე ფულს ეხება, ლიგაში თითოეული ქულა ხომ დიდძალ ფულს იძლევა, სლოვაკთათვის კი ფული საკმაო გამოლიზიანებელი უნდა იყოს. „კოშიცეს" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს.

ჰოლანდიის ვიცე-ჩემპიონის მწვრთნელის თანამდებობიდან არი ჰაანის წასვლისა და ლეო ბეენჰაკერის მოსვლის შემდეგ როტერდამელებმა „იუვენტუსს" მოუგეს, რითაც არა მარტო სხვებს, უპირველესად საკუთარ თავს დაუმტკიცეს ბევრი რამ. ალბათ, ხვალაც იმასვე შეეცდებიან. დისკვალიფიცირებული „ფეიენოორდს" ერთი ჰყავს — არგენტინელი ხულიო კრუსი.

**C ჯგუფი**

### ეინდჰოვენი — ბარსელონა

ორივეს ჩაქნეული აქვს ხელი. მეოთხედფინალი გამოირიცხა. ფილიპსის გუნდში [illegible] ითამაშებენ იააფ სტამი და კრის ვან დერ ვეერდენი, ხოლო მწვრთნელი დიკ ად[illegible] სათადარიგოებთან ერთად ჩვეულ ადგილზე ვერ დაჯდება. ეს სამეული [illegible] ფიცირებულია.

[illegible]ნელთაგან ხვალინდელ მა[illegible] მონაწილეობა აკრძალული აქვს სე[illegible]

### ნიუკასლი — დინამო

[illegible]ელთა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა ამასწინათ განაცხადა, ჩვენ პირ[illegible] ვიღეთ ლიგის შეხვედრებში მონაწილეობა და ამით მეტისმეტად კმაყო[illegible] ვართ, გამოცდილება მივიღეთო. ეს არის და ეს. ინგლისის ვიცე-ჩემპიონს იმედი გადაწურული აქვს.

„დინამომ" ნიუკასლში რომც წააგოს, მაინც არაფერი დააკლდება (ფულის გარდა) — მეოთხედფინალში გასულია. ყვითელი ბარათების მიღებას, მეოთხედფინალური მატჩის გამოტოვების შიშით უნდა მოერიდონ კოსოვსკი, რებროვი, დმიტრულინი, გოლოვკო, ხაცკევიჩი, შევჩენკო და ლუჟნი.

**D ჯგუფი**

### რეალი — პორტუ

მადრიდელებმა წინა ტურში, „რუსენბორგთან" სტუმრად დამარცხებით მეტად უცნაურ მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი და, რაც მთავარია, სხვებიც უცნაურ ბედს სწიეს. ახლა თავად „პორტუსთან" აუცილებლად მოგება სჭირდება, რადგან ფეხი რომ დაუცდეს და ფრე ითამაშოს, „რუსენბორგმა" კი საბერძნეთში მოიგოს, იოლი შესაძლებელია მეოთხედფინალს სულაც დემშვიდობოს. დისკვალიფიცირებული „რეალს" არავინ ჰყავს.

„პორტუ" შანსდაკარგულია, თუმცა, მიზანი აქვს — ბოლო ადგილისთვის თავის არიდება, მაგრამ ხვალ ვერ ათამაშებს არტურს, ჟარდელს და ლულას. ისინი დისკვალიფიცირებულნი არიან.

### ოლიმპიაკოსი — რუსენბორგი

„ოლისპიაკოსისთვის" ამ მატჩში სტიმული შესაძლოა იყოს მხოლოდ ფული, რომელიც გამარჯვებისთვის მიეცემა, ბოლო ადგილისთვის თავის არიდება, „პორტუსთან" ბრძოლა და „რესენბორგისთვის" წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

„რუსენბორგს" გამარჯვება სჭირდება. თუ ვერ მოიგო, „რეალმა" კი „პორტუს" აჯობა, ალბათ, ვეღარ გავა მეოთხედფინალში. ამ შეხვედრაში ნორვეგიელებს სრული შემადგენლობით შეუძლიათ თამაში, დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ.

**E ჯგუფი**

### ბაიერნი — გიოტებორგი

მიუნხენელებლი მეოთხედფინალისტები არიან და მათთვის შვედეთის ჩემპიონთან თამაშს მნიშვნელობა არ აქვს. მხოლოდ მარიო ბასლერი და მიხაელ ტარნატი უნდა იყვნენ ფრთხილად მეორე ყვითელი ბარათი რომ არ მიიღონ.

„გიოტებორგისთვის" კი ყველაფერი სულერთია.

### პსჟ — ბეშიქთაში

პარიზის გუნდს გამარჯვება სჭირდება, თან რაც შეიძლება დიდი ანგარიშით. თუ მოიგო, 12 ქულას დააგროვებს და შესაძლოა „იუვენტუსთან" ბურთების სხვაობა ჰქონდეს საანგარიშო, მაგრამ საამისოდ ჯერ ერთი, „რუსენბორგმა" „ოლიმპიაკოსთან" არ უნდა მოიგოს (ან „რეალმა" შინ „პორტუსთან" ვერ მოიგოს), „ლევერკუზენისა" და „მონაკოს" შეხვედრაში კი ჯობს სტუმრებმა იმძლავრონ (ან მასპინძლებმა ძალიან დიდი ანგარიშით). აღსანიშნავია, რომ პარიზელებს დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლებათ ჯიმი ალჟერინო, დიდიე დომი, ლორან ფურნიე, ბრუნო ნგოტი, ერიკ რაბესანდრატანა.

„ბეშიქთაშს" მხოლოდ მატერიალური სტიმული აქვს.

**F ჯგუფი**

### სპორტინგი — ლიერსი

ლასაბონში გასამართ მატჩს აბსოლუტურად არ აქვს რაიმე მნიშვნელობა. მასპინძლებს არ ეყოლებათ პედრო ბარბოსა და აბდელ საბერი, სტუმრებს — კლაუს ეფტევააგი და რალფ პასენჰუტლი.

### ლევერკუზენი — მონაკო

ორივე გუნდს მარტივად შეუძლია მოხვდეს მეოთხედფინალში, საამისოდ საჭიროა მათ ფრე ითამაშონ. „მონაკოს" არც მინიმალური წაგება დააქცევს, რადგან ბურთების სხვაობა პლუს 7 აქვს, მაგრამ ცხადია, ეს მაინც არასასურველია. „ლევერკუზენს" პლუს ოთხი აქვს და ამდენად მარცხს უფრო უნდა მოერიდოს. მოკლედ, ფრე იდეალურია.

# ინტერს დიდი ბრძოლა ელის

UEFA CUP

იტალიის პირველობის ლიდერს მილანის „ინტერს" დღეს „სტრასბურთან" გადარჩენისთვის ელის დიდი ბრძოლა. უეფას თასის 1991 და 1994 წლების მფლობელმა, რომელმაც გასულ გათამაშებაში გერმანულ „შალკესთან" ფინალში წააგო, პირველ შეხვედრაში, სტრასბურში 19 წუთში ორი გოლი გაუშვა და 0:2 იწვნია. ახლა მილანელებს დამაჯერებელი პასუხის გაცემა მართებთ.

წინა ეტაპზე, სხვა ფრანგულ გუნდთან, „ლიონთან" შინ 1:2 წაგების შემდეგ „ინტერმა" სტუმრად იმარჯვა და ჯამური 4:3-ით შემდეგ ეტაპზე გავიდა.

„ინტერის" ამოცანას ოდნავ ამსუბუქებს ის, რომ „სტრასბური" საფრანგეთის ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა. პარასკევს, შინ „გინგამთან" 0:1 წაგების გამო გულშემატკივრებმა ფეხბურთელებს ბოიკოტი გამოუცხადეს. კლუბმა განაცხადა, რომ „სან სიროზე" შედეგის მიუხედავად, სეზონის ბოლოს მწვრთნელს ჟაკი დუგეპეროს თანამდებობიდან გაანთავისუფლებს.

— რაც გინდა მოხდეს, „ინტერთან" თამაშის შემდეგ რაღაც შეიცვლება. თუ მოვიგებთ, მარტამდე წნეხის ქვეშ ვიქნებით, ხოლო თუ წავაგებთ, გავიხსენებთ, რომ საშინაო ჩემპიონატიც არსებობს — თქვა დუგეპერომ, რომელსაც სხვა პრობლემებიც აწუხებს. კერძოდ, დღეს მას არ ეყოლებიან მთავარი მცველები ჟან-ლუკ დოგონი და ჩეხი იან სუხოპარეკი. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრუნდება თავდამსხმელი პატრიკ ნუმა.

ამ შეხვედრაში რონალდო 1997 წელს ბოლოჯერ მოირგებს „ინტერის" ფორმას, რადგან შემდეგ საუდის არაბეთში, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად კონფედერაციათა თასზე ითამაშებს.

— მინდა საუდის არაბეთში უეფას თასის მეოთხედფინალისტის რანგში წავიდე — თქვა რონალდომ — ჩვენ კარგ გუნდს ვეთამაშებით, მაგრამ მისი გამოთიშვა შეგვიძლია.

უეფას თასის მფლობელ „შალკეს" ლიბერო თომას ლინკე კი იმედოვნებს, რომ „ლევერკუზენის" თავდამსხმელის, ულფ კირსტენის იდაყვის სახეში მოხვედრის მიუხედავად (ეს ინციდენტი ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „შალკესა" და „ლევერკუზენის" 0:0 დამთავრებული მატჩის დროს მოხდა) „ბრაგასთან" სათამაშოდ მზად იქნება. ლინკე საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ გამოკვლევამ დაადგინა, რომ საგანგაშო არაფერია. თვალქვეშ დალილავებულია და ტუჩი აქვს გახეთქილი.

„შალკე" კვლავ დაშავებული ბელგიელის მიხაელ გუსენსის გარეშე იქნება. ჩეხი ნახევარმცველის ირჟი ნემეცის თამაშიც საეჭვოა. სხვათა შორის, „შალკეს" მწვრთნელმა 43 წლის ჰუბ სტევანსმა ამ დღეებში კლუბთან 2001 წლამდე კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ბრაგას" ერთადერთი საწუხარი თავდამსხმელი ჟორჟე გამბოა გახლავთ. იგი გუნდთანაა, მაგრამ ბარძაყის ტრავმა არ აქვს ბოლომდე მოშუშებული.

„ასტონ ვილას" მთავარი დანაკლისი, თავდამსხმელი დუაიტ იორკია. ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების ფეხბურთელმა, შაბათს, პრემიერლიგაში, „ქოვენთრი სიტისთან" 3:0 გამარჯვების დროს ფეხი იტკინა და 33-ე წუთზე შეცვალეს. „ვილა პარკზე" „სტიაუაც" შესუსტებული ითამაშებს. ნახევარმცველი დენის სერბანი სეზონის ბოლომდე მკურნალობას მოუნდება, მეორე ნახევარმცველი ლაურენტიუ როსუ ნოემბრის შემდეგ მკლავმოტეხილია, მცველი მარიუს ბაჩუ კი ფეხის ტრავმას იშუშებს.

— ბრიტანეთში 2:1-ის გადასარჩენად არ ჩამოვსულვართ, ჩვენ გოლის გატანას შევეცდებით — თქვა, მიუხედავად ამისა, მწვრთნელმა მიჰაი სტოიჩიტამ.

„სტიაუამ" ბრმინგემში წაიყვანა რამდენიმე ყოფილი ფეხბურთელი, რომელთაც 1986 წელს ჩემპიონთა თასი მოიპოვეს.

— ვგონებ, ბრიტანეთში ჩემპიონთა თასის მფლობელებთან ერთად ჩამოსვლა გუნდის გამოუცდელ ფეხბურთელებს გაამხნევებს — დასძინა სტოიჩიტამ.

გერმანული „ბოხუმი", რომელიც „აიაქსთან" პირველ შეხვედრას 2:0-ს იგებდა და 2:4 წააგო, ჯერ კიდევ იმედიანადაა. იგი ბუნდესლიგის დღევანდელ ცხრილში მე-17 ადგილზეა.

— მე ყოველთვის „აიაქსის" თავგადაკლული ქომაგი ვიყავი, მაგრამ თუ სიმართლე გნებავთ, ვფიქრობ, რომ ჩვენ გამარჯვება შეგვიძლია — განაცხადა „ბოხუმის" მწვრთნელმა კლაუს ტოპმიოლერმა, რომლის გუნდში დისკვალიფიკაციის გამო არ იქნება სერგეი იურანი.

და მაინც, „აიაქსი" ალბათ გაიმარჯვებს, ისევე როგორც „ლაციო", რომელსაც ვენის „რაპიდთან" პირველ შეხვედრაში 2:0 აქვს მოგებული. „ლაციოს" არ ეყოლება დისკვალიფიცირებული რობერტო მანჩინი, „რაპიდს" მარკუს პუერკი, ოლივერ ფროინდი და პეტერ შიოტელი.

ფრანგული „ოსერი" ჰოლანდიურ „ტვენტეს" სტუმრად მოგებული 1:0-ით მასპინძლობს. „ტვენტეში" დისკვალიფიცირებულია იან ვან ჰალსტი. მოსკოვის „სპარტაკი" სტუმრად ნათამაშევი 0:0-ის შემდეგ შინ გერმანულ „კარლსრუეს" შეებრძოლება. „სპარტაკს" დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლება კონსტანტინ გოლოვსკოი.

**ადრიან უორნერი, როიტერი**


# ნამდვილი ბორჯომი




5 განმასხვავებელი ნიშანი

ნამდვილი ბორჯომი ჩამოსხმულია ბორჯომის ბუნებრივი წყლების წყაროებიდან. იმისათვის, რომ თქვენ დაცული იყოთ ფალსიფიკაციისაგან, შემუშავებულია დაცვის სისტემა, რომელიც შედგება ხუთი ხარისხისაგან.

1 შენახვის ვადა ბოთლის თავსახურზე

2 მოცისფრო შუშის ბოთლი

3 ბოთლზე ირმის ოთხი რელიეფური გამოსახულება

4 ინდივიდუალური ნომერი ყოველი ტრადიციული ეტიკეტის ქვედა მარჯვენა კუთხეში

5 რელიეფური წარწერა ინგლისურ ენაზე BORJOMI 0,5 L და NON RETURNABLE

Georgian Glass & Mineral Water Co. N.V.

# ევროპა: NO SMOKING

ევროგაერთიანებამ თამბაქოსთან ბრძოლაში კიდევ ერთი, გიგანტური ნაბიჯი გადადგა — ევროპის ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრები ახლახან შეთანხმდნენ, რომ თამბაქოს ნაწარმის რეკლამას საბოლოოდ შეუკვეცონ ფრთები — სამი წლის შემდეგ სარეკლამო ფარების გამოყენება აიკრძალება, მერე კი ამას პრესა და სპორტულ-გასართობი ინდუსტრია მიჰყვება. გამონაკლისი მხოლოდ ფორმულა 1-ისა და სნუკერისთვის დაუშვეს, რომელთაც თამბაქოს მწარმოებელი ფირმების ხარჯზე 2006 წლამდე შეეძლებათ ჯიბის გასქელება. მიღწეულ შეთანხმებას ჯერ კიდევ არ აქვს კანონის ძალა — იგი ევროპარლამენტმა უნდა მოიწონოს, მაგრამ მან უკვე ააფორიაქა ყველა. ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტები თუ ენთუზიასტები თამბაქოს რეკლამის მთელ ევროპაში აკრძალვას რიხით შეხვდნენ და ეს მხოლოდ პირველ ნაბიჯად ჩათვალეს კიდევ უფრო მკაცრ ღონისძიებათა რიგში, მაგრამ ჟურნალ-გაზეთები და თავად თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც აკრძალვის გამო სასტიკად ზარალდებიან, ხანგრძლივი იურიდიული ბატალიებისთვის მოემზადნენ. მათ მიაჩნიათ, რომ ევროგაერთიანება ამ კანონის მიღებით საკუთარ უფლებამოსილებას აჭარბებს და არ ითვალისწინებს ინდუსტრიაში დასაქმებულთა ბედს, რომლებსაც უახლოეს მომავალში დათხოვნა ელით. შეთანხმების წინააღმდეგ განსაკუთრებით გერმანიამ გაილაშქრა — თამბაქოს ნაწარმზე გადასახადები იქ ყოველწლიურად 40 მილიარდი მარკით ამდიდრებს ეროვნულ ბიუჯეტს.

ფორმულა 1-სთვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭებამ ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ფრიად გაახარა — 10 ათასობით სამუშაო ადგილს შევინარჩუნებთო. თუმცა გასულ თვეში ბლერს ამის გამო ოპოზიციისგან გვარიანად მოხვდა — თურმე მის ლეიბორისტულ პარტიას FIA-ს პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნისაგან მილიონი გირვანქა მიუღია შეწირულობის სახით. თავად ფორმულა 1-ის საჯინიბოებმა მომხდარის კომენტარისგან თავი შეიკავეს, საბოლოო აკრძალვამდე ჯერ კიდევ შორს არის, თანაც კანონპროექტი მეტისმეტად ჩახლართულია და სანამ მასში არ გავერკვევით, ვერაფერს ვიტყვითო.

## ავტორბოლა

# მინასიანიც გამოჩნდა

გასულ კვირას ესპანეთში, „მონტმელოს“ ტრასაზე ფორმულა 1-ის ზოგიერთმა გუნდმა პირველი ტესტები გამართა, თუმც უძლიერესი პილოტები აქ არ გამოჩენილან.

„უილიამსმა“ ოთხ ახალგაზრდა პილოტს — კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას, ბრაზილიელ მაქს ვილსონს, ფრანგებს ნიკოლა მინასიანსა და სოიე აიარის მისცა ფორმულაში თავის გამოცდის საშუალება. მათაც თავი არ შეირცხვინეს და საუკეთესოდ ირბოლეს: მონტოიას დროა 1.19,22, ვილსონისა 1.20,40, მინასიანზე (1.21,43) და აიარიზე (1.21,15) უკეთესნი კი მხოლოდ ბენეტონელები ფიზიკელა (1.20,62) და ვურცი (1.20,65) იყვნენ.

ორი პილოტი გამოიყვანა „მინარდიმაც“. ახალგაზრდა ბრაზილიელ ტარსო მარკეშის (1.27,29) გვერდით გამოცდილმა იტალიელმა პიერლუიჯი მარტინიმ იასპარეზა და ტესტებზე ყველაზე ზანტიც 1.30,65 გახლდათ. ჩატარებული ტესტების მიუხედავად, ამ გუნდს შემადგენლობა ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებია.

სრული შემადგენლობით ივარჯიშეს „პროსტმაც“ და „ეროუსმაც“, თუმცა მათი შედეგები საკმაოდ ჩამორჩებოდა საუკეთესოებისას: პანი („პროსტი“) 1.27,17, ტრული („პროსტი“) 1.26,95, დინიცი („ეროუსი“) 1.25,35, სალო („ეროუსი“) 1.28,61. „ზაუბერში“ ჰერბერტის გვერდით არგენტინელი ტესტ-პილოტი ფონტანა ასპარეზობდა და ძირითად პილოტზე უკეთესი დროც 1.23,17 აჩვენა. ჰერბერტი 1.27,83-ს დასჯერდა.

ეს გუნდების პირველი ტესტები გახლდათ და მათ დიდი მნიშვნელობა არც ენიჭება. გუნდების პერსპექტივებზე საუბარი მხოლოდ ძირითადი პილოტების მიერ ჩატარებული სრულფასოვანი ტესტებისა და რბოლების იმიტაციის შემდეგ შეგვეძლება.

# ჯეკის ჯიბე მოუსინჯეს

ფია-ს ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „სტიუარტ-ფორდი“ გამოვა ფორმულა 1-ის 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში.

ეს განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდა, რაც მსოფლიოს ავტოსპორტის ხელმძღვანელობამ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის გუნდის ფინანსური მდგომარეობის შესამოწმებლად წარგზავნილი აუდიტორებისგან მიიღო ცნობა, რომ გუნდს ყველა აუცილებელი პირობა გააჩნია 1998 წლის ჩემპიონატში საასპარეზოდ, მიუხედავად იმისა, რომ მალაიზიის ტურიზმის სამინისტროსგან ველარ მიიღებს ფულს. ასე რომ, გაისად ჯეკი სტიუარტის თეთრი ბოლიდები მალაიზიაში მისაპატიჟებელი წარწერის გარეშე გამოვლენ ტრასებზე.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

უეფას თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები.

9 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტაკი — კარლსრუე | (1,5-2,0) | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ბოხუმი — აიაქსი | (5,0-1,1) | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| შალკე — ბრაგა | (1,05-7,5) | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| ლაციო — რაპიდი | (— -30,0) | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ოსერი — ტვენტე | (1,01-15,0) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ატლეტიკო — კროაცია | (1,1-5,0) | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ინტერი — სტრასბური | (1,8-1,6) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ასტონ ვილა — სტიაუა | (1,35-2,5) | 1,3 | 3,6 | 6,5 |

ჩემპიონთა ლიგა. VI ტური.

10 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტა — დორტმუნდი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| გალათასარაი — პარმა | 4,2 | 3,1 | 1,6 |
| კოშიცე — ფეიენოორდი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| იუვენტუსი — მანჩესტერ იუნაიტედი | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ეინდჰოვენი — ბარსელონა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ნიუკასლი — დინამო | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — პორტუ | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ოლიმპიაკოსი — რუსენბორგი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ბაიერნი — გიოტებორგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| პარი სენ ჟერმენი — ბეშიქთაში | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სპორტინგი — ლიერსი | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| ლევერკუზენი — მონაკო | 1,6 | 3,0 | 4,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში,
პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.


## კალათბურთი

### რეგულარული ჩემპიონატი

# ტეხასელების ომი მექსიკაში

5 დეკემბერი

**ჩიკაგო 84:62 მილუოკი**

**ჩიკაგო: კუკოჩი (19), ლონგლი (16)**
**მილუოკი: გილიამი (18+13 მოხსნა)**

ჩიკაგომ იოლად სძლია მილუოკი ბაქსს, ვისთვისაც 62 ქულა ყველაზე უარესი შედეგია ბოლო 30 წლის მანძილზე. მილუოკელები თავიდანვე გატყდნენ, პირველი მეოთხედი 13 ქულით წააგეს, მეორე მეოთხედში ცოტა კი მოცოცხლდნენ, მაგრამ მერე ისევ ძველებურად გაუტიეს და მეორე ნახევარში სულ 26 ქულას გამორჩნენ. მაიკლ ჯორდანმა სეზონში ყველაზე ცოტა — 13 ქულა დააგროვა.

**ნიუ ჯერსი 107:88 ფილადელფია**

**ნიუ ჯერსი: გილი (24), უილიამსი (20+11 მოხსნა)**
**ფილადელფია: კამინგსი (16+11 მოხსნა)**

ამ თამაშში, როგორც იქნა, გამოჩნდა დრაფტში მეორე ნომრად არჩეული ნიუ ჯერსის იმედი კიტ ვან ჰორნი, თუმცა დებიუტანტმა ბევრი ვერაფრით გამოიჩინა თავი: 27 წუთი ითამაშა და მხოლოდ 11 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა. ამ 27 წუთში მან ხუთჯერ დაჯარიმებაც მოასწრო და შვიდჯერაც დაკარგა ბურთი. ვნახოთ, გაუმართლებს თუ არა იგი ნიუ ჯერსის, რომელიც ვან ჰორნს მომავალ ლიდერად ისახავს.



კლივლენდი — ლეიკერსი. კლივლენდელმა ნაითმა ბურთს ტრიბუნებზეც მისდია

**დეტროიტი 89:94 სიეტლი**

**დეტროიტი: ჰილი (27+10 მოხსნა + 8 პასი), უილიამსი (26+20 მოხსნა)**
**სიეტლი: ბეიკერი (31), პეიტონი (17+10 მოხსნა + 9 პასი)**

დეტროიტს კი ჰყავს გრანტ ჰილი, მაგრამ სიეტლიც ხომ პეიტონისა და ბეიკერის პატრონია და სწორედ ამათი წყალობით აჯობა სუპერსონიქსმა დეტროიტს. ეს ორი სამმაგი დუბლითაც დაიმშვენებდა ხელს, თანაგუნდელებისთვის ყურადღება რომ არ მოეკლოთ — პირველს ერთი, მეორეს კი ორი პასი დააკლდა.

**მინესოტა 101:90 საკრამენტო**

**მინესოტა: მარბერი (22), გარნეტი (18+12 მოხსნა), გულიოტა (17+11 მოხსნა + 5 დაფარება)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (29), აბდულ-რაუფი (18)**

საკრამენტომ ზედიზედ მეექვსედ შეირცხვინა თავი.

**მაიამი 117:97 ბოსტონი**

**მაიამი: ჰარდევეი (18+10 პასი), მაშბურნი (18)**
**ბოსტონი: უოლკერი (26+12 მოხსნა), ბილაპსი (17)**

ბოსტონი ზედიზედ მეხუთედ აგებს.

**ფინიქსი 110:91 ტორონტო**

**ფინიქსი: მაკდაიესი (19), რობინსონი (17)**
**ტორონტო: უოლესი (20)**

ფინიქსმა მე-15 მარცხი აწვნია ტორონტოს. ჯონ უოლესი ნიუ იორკში მეორეხარისხოვანი ფიგურა იყო, ტორონტოში ერთ-ერთი საუკეთესო კია, მაგრამ გუნდს ვერც იგი შველის.

**დენვერი 85:96 ინდიანა**

**დენვერი: ჯექსონი (22)**
**ინდიანა: სმიტსი (24), მილერი (19)**

ტორონტოს დარად, დენვერიც შავ დღეშია, რასაც ვერ ვიტყვით მის მეტოქეზე: ლარი ბერდის ბიჭებმა საწყის შვიდ მატჩში მხოლოდ ორჯერ კი მოიგეს, მაგრამ მერე აიწყვიტეს და მომდევნო ცხრა შეხვედრაში ერთადერთხელ დამარცხდნენ.

**გოლდენ სტ. 104:89 ორლანდო**

**გოლდენ სტეიტი: მარშალი (28+11 მოხსნა), სმიტი (24)**
**ორლანდო: საიკლი (29+11 მოხსნა)**

გოლდენ სტეიტის ლიდერს ლატრელ სპრიუელს, მოგეხსენებათ, ძვირად დაუჯდა მწვრთნელის გალახვა — NBA-ს ერთი წლით გამოათხოვეს, მაგრამ მის გარეშე დარჩენილმა მეომრებმა მაინც ივაჟკაცეს და მეორედ გაიმარჯვეს. ორლანდოს თავისი ყოჩი პენი ჰარდევეი აკლდა.

**ვანკუვერი 98:107 კლივლენდი**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (27)**
**კლივლენდი: პერსონი (30), კემპი (25+11 მოხსნა)**

კლივლენდმა კანადელებთან გამარჯვებით შვიდამდე გაზარდა წაუგებელი მატჩების სერია.

**ლეიკერსი 98:88 სან ანტონიო**

**ლეიკერსი: ვან ექსელი (25), კემპბელი (21)**
**სან ანტონიო: რობინსონი (19+10 მოხსნა), დანკანი (18)**

ლეიკერსმა დაამტკიცა, რომ შაკილ ონილის გარეშეც უძლიერესთაგანია. ახლა ცენტრის ფუნქციას 215-სანტიმეტრიანი ელდენ კემპბელი ასრულებს და არც თუ ურიგოდ: რობინსონის წინააღმდეგ თამაშში მან გუნდს 21 ქულა მოუტანა.

**პორტლენდი 94:77 იუტა**

**პორტლენდი: გრანტი (15)**
**იუტა: მელოუნი (24+12 მოხსნა)**

6 დეკემბერი

**კლიპერსი 79:83 ორლანდო**

**კლიპერსი: პიატკვოსკი (15)**
**ორლანდო: გრანტი (25), უილკინსი (21)**

გოლდენ სტეიტთან სამარცხვინო წაგების შემდეგ ორლანდომ ძალა მოიკრიბა და სტუმრად მეორე ამ მატჩში ივარგა, თანაც იმ დღესაც აკლდა დაშავებული პენი ჰარდევეი.

**დალასი 106:108 ჰიუსტონი**

**დალასი: ფინლი (35)**
**ჰიუსტონი: ბარკლი (19+17 მოხსნა), უილისი (17+11 მოხსნა), დექსლერი (17)**

ეს მატჩი მეხიკოში გაიმართა. საერთოდ, 90-იან წლებში NBA-ში წესად იქცა ზოგი მატჩის უცხოეთში გამართვა. პირველად ორი ასეთი მატჩი ტოკიოში ჩატარდა 1990 წელს, იაპონელებმა მერეც რამდენჯერმე, შემდეგ კი კანადამ და დიდმა ბრიტანეთმაც უმასპინძლეს დიდ კალათბურთს, მექსიკისთვის კი ეს პირველი იყო. თამაშმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, რასაც 20 635 მაყურებლის დასწრებაც მოწმობს. მატჩიც ერთობ დაძაბული გამოდგა, რაც მართლაც გასაკვირი იყო: დალასელები მეტოქეს კვალში ჩაუდგნენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. როკიტსმა, ფაქტობრივად, ბოლო წამებზე მოიგო. „დალას მავერიკსს“ აშკარად დაეტყო დონ ნელსონის ხელი.

**ვაშინგტონი 114:103 მინესოტა**

**ვაშინგტონი: უებერი (33+12 მოხსნა), ჰოვარდი (26), სტრიკლენდი (17+10 პასი)**
**მინესოტა: მარბერი (27). გულიოტა (24+11 მოხსნა), გარნეტი (21)**

**ნიუ იორკი 90:79 შარლოტი**

**ნიუ იორკი: სტარქსი (27), იუინგი (17+10 მოხსნა)**
**შარლოტი: მეისონი (16+14 მოხსნა)**

7 დეკემბერი

**საკრამენტო 99:84 გოლდენ სტ.**

**საკრამენტო: რიჩმონდი (24), უილიამსონი (24)**
**გოლდენ სტეიტი: სმიტი (24), დამპიე (18)**

**ლეიკერსი 84:94 კლივლენდი**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (21)**
**კლივლენდი: პერსონი (22)**

ამასწინათ კი ვაქეთ ლეიკერსი, აქაოდა, სან ანტონიოს მოუგოო, მაგრამ აგერ კლივლენდ კავალიერზთან დამარცხდა. კლივლენდმა ზედიზედ მერვედ მოიგო, ლეიკერსს კი სეზონში მესამე მარცხი აგემა.

**დენვერი 100:92 კლიპერსი**

**დენვერი: ელისი (21), ჯექსონი (17)**
**კლიპერსი: პიატკოვსკი (18), როჯერსი (18)**

დენვერმა მისთვის იშვიათად — მეორე მოგებით გაიხარა.

**ფინიქსი 97:99 ინდიანა**

ოვერტაიმი

**ფინიქსი: მენინგი (25+12 მოხსნა), მაკლაუდი (18+11 მოხსნა)**
**ინდიანა: მილერი (19)**

ლარი ბერდის შეგირდთა მსხვერპლი ამჯერად მისი ყოფილი თანაგუნდელის დენი ეინჯის ბიჭები შეიქნენ. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე 89:88-ზე ინდიანელმა ანტონიო დევისმა საჯარიმო ჩააგო და ანგარიში 90:88 გახადა. ოვერტაიმში თამაში დენი მენინგმა გადაიყვანა, როცა 17 წამით ადრე ორქულიანი ჩააგდო. ოვერტაიმშიც ომი იყო: 97:97-ზე ოვერტაიმის დამთავრებამდე 2,5 წამით ადრე რეჯი მილერმა დაახლოებით ოთხი მეტრიდან ჩააგდო და თავისიანებს ზედიზედ მეექვსედ მოაგებინა.

**ტორონტო 83:93 დეტროიტი**

**ტორონტო: უოლესი (23), სტუდემაიერი (21+9 პასი)**
**დეტროიტი: ჰილი (20+10 მოხსნა), უილიამსი (20+11 მოხსნა)**

**მილუოკი 97:91 სიეტლი**

**მილუოკი: ბრენდონი (20+13 პასი), ალენი (20), გილიამი (19+13 მოხსნა)**
**სიეტლი: ბეიკერი (29+11 მოხსნა), პეიტონი (18)**

ყოფილი თავისიანების წინააღმდეგ ბეიკერმა ძლიერად კი ითამაშა, მაგრამ ამჟამინდელმა თანაგუნდელებმა მხარი მაინც და მაინც ვერ აუბეს და სიეტლი დამარცხდა. სეზონის წინ მილუოკის ბეიკერის ნაცვლად კლივლენდელები ბრენდონი და ჰილი მიიღო, კლივლენდმა კი სიეტლისგან კემპი ირგუნა და ამ გაცვლებით, ჩანს, არცერთს უზარალია, მითუმეტეს მილუოკის, რომელმაც წინა წლებთან შედარებით მოგებებს უხშირა.

**ფილადელფია 93:78 ნიუ იორკი**

**ფილადელფია: აივერსონი (27), სტეკჰაუზი (20)**
**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (25)**

ნიუ იორკში კი დაღმასვლა დაეტყო. ლარი ჯონსონის გარეშე მოთამაშე გუნდმა ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ წააგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტის დივიზიონი | | | |
| მაიამი | 12 | 5 | 70,6 |
| ორლანდო | 13 | 7 | 65,0 |
| ნიუ ჯერსი | 11 | 7 | 61,1 |
| ნიუ იორკი | 11 | 8 | 57,9 |
| ვაშინგტონი | 8 | 11 | 42,1 |
| ბოსტონი | 7 | 11 | 38,9 |
| ფილადელფია | 5 | 11 | 31,3 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | |
| ატლანტა | 15 | 3 | 83,3 |
| კლივლენდი | 12 | 6 | 66,7 |
| ინდიანა | 11 | 6 | 64,7 |
| ჩიკაგო | 11 | 7 | 61,1 |
| შარლოტი | 10 | 7 | 58,8 |
| მილუოკი | 11 | 8 | 57,9 |
| დეტროიტი | 8 | 12 | 40,0 |
| ტორონტო | 1 | 18 | 5,3 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
| ჰიუსტონი | 11 | 5 | 68,8 |
| იუტა | 11 | 7 | 61,1 |
| სან ანტონიო | 10 | 9 | 52,6 |
| მინესოტა | 8 | 10 | 44,4 |
| ვანკუვერი | 7 | 13 | 35,0 |
| დალასი | 5 | 13 | 27,8 |
| დენვერი | 2 | 15 | 11,8 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
| ლეიკერსი | 15 | 3 | 83,3 |
| სიეტლი | 15 | 5 | 75,0 |
| ფინიქსი | 11 | 5 | 68,8 |
| პორტლენდი | 11 | 6 | 64,7 |
| საკრამენტო | 6 | 14 | 30,0 |
| კლიპერსი | 3 | 16 | 15,8 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 15 | 11,8 |

# სჯობს გვიან, ვიდრე ადრე

**ფრანკფურტი. გერმანია. „ჩემპიონთა პირველობა“. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 1,6 მილიონი დოლარი.**

ფრანკფურტის ტურნირი საჩვენებელი კი არის, მაგრამ მისთვის გამოყოფილი საპრიზო ფონდი თითოეულში მატჩს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად რომ გადააქცევს, ფაქტია. შესარჩევი ასპარეზობის უკანასკნელი ტურისთვის — „ჩემ-



ანკე ჰუბერი

პიონთა პირველობაზე“ — პირველ ჯგუფში განსაკუთრებით დაძაბული მდგომარეობა იყო — წარმატების შემთხვევაში თითოეულ ჩოგბურთელს ნახევარფინალში გასვლა შეეძლო. პირველნი ერთმანეთს მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი და მასპინძელი ანკე ჰუბერი შეხვდნენ. გერმანელი თავიდან 4:1-ს იგებდა, მაგრამ მერე უპირატესობა კარგა ხნით მეტოქეს გადაულოცა და ზედიზედ 5 გეიმიც წააგო. ჰუბერს ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მეორე ხელში კი მიეცა, მაგრამ ორი სეტ-პოინტი გაანიავა და ტაი-ბრეიკზე შვეიცარიელს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია — 4:6, 6:7 (3:7). გერმანელის მარცხმა ფრანგ მარი პირსს, რომელსაც აქამდე ყველა მატჩი წაგებული ჰქონდა, ნახევარფინალში გასვლის შესაძლებლობა მისცა. ამისთვის მარის სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერის გამანადგურებელი ანგარიშით ძლევა სჭირდებოდა, თუმცა საბოლოოდ ვერც პირსმა მიაღწია ხელსაყრელ შედეგს და ვერც ჩია ამანდამ გამოჰკრა ნახევარფინალში გამყვან ერთ სეტს ხელი — 6:4, 6:4 ფრანგის სასარგებლოდ. ამ დაპირისპირებაში მეორე ადგილი, მასპინძელთა გასახარად, ანკე ჰუბერს ხვდა წილად.

| | | |
|---|---|---|
| 1. ჰინგისი | 3 | 0 |
| 2. ჰუბერი | 1 | 2 |
| 3. კუტცერი | 1 | 2 |
| 4. პირსი | 1 | 2 |

მეორე ჯგუფში ნახევარფინალისტების ვინაობა წინასწარ იყო გარკვეული — ამერიკელ ლინდსი დევენპორტსა და ხორვატ ივა მაიოლის ოთხ საუკეთესოთა შორის მოხვედრა ბოლო ტურამდე დაებევებინათ, მაგრამ პირველი ადგილის მოსაპოვებლად პირად შეხვედრაში ერთმანეთისთვის არაფრის დათმობა არ ისურვეს. საბოლოოდ სამივე ხელი ერთნაირი ანგარიშით — 6:2 დამთავრდა, უკანახაზელთა დუელის გადამწყვეტ პარტიაში კი გამარჯვება მაიოლის დარჩა, ისევე, როგორც 220 ათასი დოლარი, რომელიც წინასწარ ეტაპზე სამი მოგებისთვის იყო განკუთვნილი. ჯგუფის მაჩანჩალათა შეხვედრაში რუმინელმა ირინა სპირლეამ ამერიკელ მერი ჯო ფერნანდესს სძლია 6:3, 6:3.

| | | |
|---|---|---|
| 1. მაიოლი | 3 | 0 |
| 2. დევენპორტი | 2 | 1 |
| 3. სპირლეა | 1 | 2 |
| 4. ფერნანდესი | 0 | 3 |

**ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი — ლინდსი დევენპორტი 6:4, 6:3, ანკე ჰუბერი — ივა მაიოლი 6:3, 6:4.**

მსოფლიოს პირველი და მესამე ჩოგნების — მარტინა ჰინგისისა და ლინდსი დევენპორტის შეხვედრაში ბევრი ელოდა უკომპრომისო ბრძოლას, მაგრამ 17 წლის მარტინამ ძონძროხა მეტოქე კორტის ერთი კიდიდან მეორეში სირბილით დაქანცა, მძლავრი დარტყმების განხორციელების შესაძლებლობა მოუსპო და 57 წუთში 6:4, 6:3 დაამარცხა. ინტერესს არც მეორე ნახევარფინალური შეხვედრა იყო მოკლებული — ანკე ჰუბერი და ივა მაიოლი წლეულს ლამის ყოველ მეორე ტურნირში ხვდებოდნენ ერთმანეთს. უკანასკნელი შეხვედრა „ჩეიზის“ მსოფლიოს ჩემპიონატზე მაიოლიმ კი მოიგო, მაგრამ მაშინ გერმანელი მსაჯების გადაწყვეტილებით ერთობ უკმაყოფილო დარჩა. ამჯერად ჰუბერმა თანამემამულეთა თვალწინ დამაჯერებელი რევანში აიღო — 6:3, 6:4.

**ფინალი: ჰუბერი — ჰინგისი 2:6, 6:3, 2:6, 6:2, 7:5.**

მარტინა ჰინგისმა წინასწარ ჯგუფში ანკე ჰუბერი კი დაამარცხა, მაგრამ ფინალის ხუთსეტიან მარათონს, შარშანდელი „ჩეიზის“ ჩემპიონატისა არ იყოს (გრაფთან), ვერც ახლა გაუძლო და კვლავ გერმანელის წერა შეიქნა. პირთამდე სავსე 4500-კაციანმა დარბაზმა 2 საათი და 40 წუთის განმავლობაში შესანიშნავი სანახაობა იხილა. განსაკუთრებით თვალსასეირო მეხუთე, გადამწყვეტი პარტია გამოდგა — აზარტში შესული მეტოქეები ფაქტობრივად შეცდომებს აღარ უშვებდნენ და გათამაშებები სულ უფრო ხანგრძლივი გახდა. დაქანცული შვეიცარიელის ფონზე გერმანელი გაცილებით აგრესიულად თამაშობდა, ბადესთან ურთულეს დარტყმებსაც არ ერიდებოდა და მისმა გარჯამ ბოლოს და ბოლოს შედეგიც გამოიღო — მან მეტოქეს მოწოდება აართვა. უკანასკნელ გეიმში მარტინამ ძალიან მოინდომა, მაგრამ ჰუბერის მძლავრ პირველ მოწოდებებს მაინც ვერაფერი დააკლო. გამარჯვებულმა ჯილდოდ 380 ათასი დოლარი მიიღო და მატჩის შემდეგ განაცხადა, მოხარული ვიქნები, გაისადაც თუ ასე კარგად ვითამაშებო. ჰუბერმა საკმაოდ წარუმატებელ სეზონში პირველი ტურნირი მოიგო, ჰინგისს კი წლის განმავლობაში ოდენ მეექვსე მარცხი აწვნია. ამ უკანასკნელს ფინალში გასვლისთვის 325 ათასი ერგო.

**ლონდონი. „ჰონდა ჩელინჯი“. ვეტერანთა ლიგა. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.**

ATP-ის ვეტერანთა ლიგა, რომელიც თავის ტურნირებს რეგულარულად მართავს, ჩოგბურთის მოყვარულთა ახალ თაობას გასული წლების დიდი ჩემპიონების ხილვის შანსს აძლევს. ვეტერანი მოთამაშეები ხშირად თავის უმცროს კოლეგებზე სასეირო სანახაობას მართავენ, თუმცა მათი შესაძლებლობისგან გამომდინარე, მესამე სეტის მაგივრად ე.წ. საჩემპიონო ტაი-ბრეიკი იმართება, რომელშიც ჩვეული 7-ის ნაცვლად მოსაგებად 10 ქულის დაგროვებაა საჭირო. წინასწარ შეხვედრებში ერთი, უდავოდ ყველაზე საინტერესო მატჩი გაიმართა — დიდი სლემის ტურნირების 11-გზის გამარჯვებული შვედი ბიორნ ბორგი უიმბლდონის სამგზის ჩემპიონ ჯონ მაკინროის გადაეყარა. ამათი უკანასკნელი შეხვედრა ინგლისში 1981 წელს, უიმბლდონის ფინალში შედგა. მაშინ ამერიკელმა მეტოქეს ყველაზე პრესტიჟული პირველობის ზედიზედ მეექვსედ მოგება არ დაანება. ამჯერად 41 წლის ბორგმა პირველ ხელში იმარჯვა, 38 წლის მაკინროიმ — მეორეში. საჩემპიონო ტაი-ბრეიკზე „როიალ ალბერტ ჰოლის“ გადაჭედილი ტრიბუნები ძველი დროის დარი გათამაშებების მომსწრენი გახდნენ, გამარჯვება კი მაკინროის დარჩა — 10:7. ამერიკელმა მატჩის განმავლობაში ძველებურ თამაშთან ერთად ჩვეული ხასიათიც გამოავლინა — მსაჯები მაგარ-მაგარი სიტყვებით შეამკო, თუმცა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რა ვქნა, კონტრაქტი მავალდებულებსო.



ჯონ მაკინროი (მარცხნივ) და ბიორნ ბორგი

ფინალში მაკინროიმ მეორე ჯგუფის გამარჯვებული — 34 წლის ფრანგი ანრი ლეკონტი დაამარცხა 6:2, 3:6, 10:5 და 50 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა.

**ავთანდილ სვანიძე**



რეგულარული ჩემპიონატი

# ტორონტოს ქარავანი დაიძრა

**ტორონტო — ლოს ანჯელესი 7:2**

**შაიბები: კურტნოლი 1(0:1), სუნდინი 8(1:1), მაკაული 3(2:1), კლარკი 6(3:1), ჯონსონი 6(4:1), ბერეზინი 7(5:1), სუნდინი 9(6:1), ბერეზინი 8(7:1), პერო 16(7:2)**

ტორონტო წლების განმავლობაში იბრძოდა ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონში გადასასვლელად. საამისოდ კლუბს ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, მგზავრობის ხარჯებს ზოგავდა, მეორეც, თავის პრინციპულ მეტოქეებთან — მონრეალთან და ბოსტონთან სეზონში 6-ჯერ შეხვედრის საშუალება ეძლეოდა. როგორც იქნა, „ფოთლებს“ ეს სურვილი შეუსრულეს და გაისად ისინი აღმოსავლეთ კონფერენციაში იასპარეზებენ. ამ სასიამოვნო სიურპრიზმა იმდენად გაახალისა ტორონტოელები, რომ მათ გაალამტვერეს ლოს ანჯელესის დაცვა და სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარეს, თანაც პირველად იყო, ამდენი გოლი რომ გაიტანეს.

მართალია, სტუმრებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ მერე ინიციატივა მთლიანად კანადელთა მხარეს გადავიდა და „ფოთლებმა“ მანამ არ მოისვენეს, სანამ განადგურებამდე არ მიიყვანეს საქმე. გამოსარჩევი სუნდინის სამეულია — შვედსა და გამოცდილ კოროლიოვს (3 პასი) პირველად შეუამხანაგეს ახალბედა ჯონსონი (1+2,0). „მეფეებმა“ კი თავიანთი ჩრდილო-აღმოსავლური ვოიაჟი სრული კრახით დაასრულეს (3 მარცხი და შაიბების სავალალო ბალანსი 4:12).




ბალეტი ყინულზე: ლოსანჯელესელმა შტუმპელმა ტორონტოელი კოროლიოვი აცეკვა

**კოლორადო — ვანკუვერი 6:4**

**შაიბები: ბურე 16(0:1), დონოვანი 4(1:1), დიდმარში 9(2:1), ლუმე 3(2:2), ლაკრუა 5(3:2), ლაკრუა 6(4:2), ბურე 17(4:3), კამენსკი 11(5:3), გუსაროვი 2(6:3), ბურე 18(6:4)**

რაც მაიკ კინენი ვანკუვერს გაუძღვა, მისი გუნდის ნებისმიერი მატჩი დიდ ყურადღებას იპყრობს, მაგრამ კოლორადოსთან შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — იგი სეზონს თუ არა, ბოლო კვირას ნამდვილად დაამშვენებს. პაველ ბურემ უკვე 48-ე წამზე გაიტანა გოლი, რამაც ერთობ გაალიზიანა „ეველანში“ და ფავორიტებმა, როგორც იქნა, თავიანთი პოტენციალი გამოავლინეს. რომ არა კანადელთა სუპერვარსკვლავები, ვანკუვერს არანაირი შანსი არ ექნებოდა. ჯერ კიდევ მეორე პერიოდში, როცა მასპინძლებმა ტემპს უმატეს და მეტოქე სავალალო მდგომარეობაში ჩააყენეს, პაველ ბურემ და მარკ მესიემ უმცირესობაში ბრწყინვალე კომბინაცია გაითამაშეს და მატჩის ინტრიგა ბოლო მესამედშიც შეუნარჩუნეს. კოლორადოელებმა გუნდური თამაშის წყალობით იმარჯვეს. ლიდერების — ფორსბერგისა და საკიკის (ორ-ორი პასი) გარდა სხვებიც გამოირჩეოდნენ, ასე რომ, ბურეს ჰეთ-თრიქმა შედეგიან პასთან ერთად ვანკუვერს ნანატრი გამარჯვება ვერ მოუტანა.

**5 დეკემბერი. კაროლინა — ფინიქსი 2:2, ბუფალო — ტამპა 4:0, რეინჯერსი — ფილადელფია 4:4, ვაშინგტონი — ფლორიდა 3:2, დალასი — კალგარი 4:1, ედმონტონი — დეტროიტი 3:1.**

**6 დეკემბერი. ბოსტონი — კაროლინა 4:1, პიტსბურგი — ანაჰაიმი 5:2, ოტავა — ბუფალო 3:0, მონრეალი — რეინჯერსი 3:3, აილენდერსი — ფინიქსი 4:0, ნიუ ჯერსი — ტამპა 4:2, ტორონტო — ლოს ანჯელესი 7:2, სენტ ლუისი — კალგარი 4:3.**

**7 დეკემბერი. ჩიკაგო — ედმონტონი 3:3, ფლორიდა — ვაშინგტონი 5:4.**

უქმეებზე ლიგის გოლკიპერებმა კვლავაც დაჩრდილეს ფორვარდები.

ზედიზედ მეორე „შათაუტი“ მიითვალა ბუფალოელმა ჰაშეკმა, არადა, ჩეხი გოლკიპერი რომ არა, ტამპა აშკარად აჯობებდა მასპინძლებს, რაზეც დარტყმათა რაოდენობაც მეტყველებს — 38:18 სტუმართა სასარგებლოდ. ჰაშეკმა საუცხოოდ ითამაშა და კარიერაში 23-ე „მშრალი“ მატჩი ჩაატარა. სხვათა შორის, ბუფალოელთა ოთხი გოლიდან სამი მცველებმა — უილსონმა, ვუოლიმ და ბაგნერმა გაიტანეს, რომელთათვის ეს პირველი წარმატებაა ამ სეზონში. საინტერესოა: უილსონი და ბაგნერი თურმე დანიძლავებულან, ვინ შეაგდებდა პირველ შაიბას. მათ მხოლოდ 27-ე შეხვედრაში გაუმართლათ, თუმცა ნიძლავი მაინც უილსონმა მოიგო, რომელმაც გახსნა ანგარიში.

ჰაშეკი, რა თქმა უნდა, ისურვებდა, ოტავაც ისევე გაემწარებინა, როგორც ტამპა, მაგრამ „სენატორი“ დეიგლი სხვაგვარად ფიქრობდა. მე-11 წუთზე მან რიცხვმრავლობა გამოიყენა და ჩეხს 176-წუთიანი „მშრალი“ სერია შეაწყვეტინა, რასაც ბუფალოელთა პირველი წაგება მოჰყვა ბოლო 5 თამაშში, ოტაველმა ტაგნატმა კი უგოლოდ შეინახა კარი.

„შათაუტი“ აილენდერსელი სალოს ანგარიშზეც არის, თუმცა მას საამისოდ მხოლოდ 22 დარტყმის მოგერიება მოუხდა. ცხადია, ნიუიორკელთა გამარჯვებაში თავიანთი წილი ლიდერებმა — პალფიმ (15) და რაიჰელმაც (1+1,13) დაიდეს.

ედმონტონი ესენცას ბრწყინვალე თამაშს უნდა უმადლოდეს, მრისხანე დეტროიტს რომ გადაურჩა. მეორე პერიოდში სტუმრები, ფაქტობრივად, მეტოქის ზონიდან არ გამოდიოდნენ, მაგრამ ისინი, ეტყობა, დალალა ესენცასთან პაექრობამ და ბოლო მესამედში მასპინძლებმა დებიუტანტ ჰალპის პირველი გოლის წყალობით გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს.

დეტროიტის შეფერხებით ისარგებლა დალასმა და კალგარის დამარცხებით კიდევ უფრო გაიუმჯობესა მდგომარეობა. გუნდზე ვერც იმან იმოქმედა, რომ წამყვანი ფორვარდის — მოდანოს გარეშე დარჩა. „ვარსკვლავთა“ ოთხგოლიანი გამარჯვებები კვლავ გრძელდება (ბოლო 6 მატჩში დალასმა ოთხჯერ მოიგო 4:1, ერთხელ — 4:2). დალასელმა ლანგებრუნერმა მე-14 გოლი გაიტანა.

„რეინჯერსმა“ ბოლო ხუთ მატჩში 4 ფრე იკმარა, რაც მას ერთობ არ აძლევს ხელს. თუმცა, ფილადელფიასთან და მონრეალთან გამართული მატჩების შედეგი ნიუიორკელებს უდავო წარმატებად უნდა ჩაეთვალოთ. „მფრინავებთან“ შეხვედრაში მასპინძლები ლეკლერის ორი გოლის შემდეგ (სულ — 22) 1:4 აგებდნენ, მაგრამ მაინც მონახეს ძალა, რათა ფრესთვის მიეღწიათ. განსაკუთრებით გამოირჩა რეინჯერსის კაპიტანი ბრაიან ლიჩი, რომელმაც ორი შაიბა შეაგდო, კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვა და, საერთოდაც, ლაღად და ელეგანტურად ითამაშა.

იგივე განმეორდა მონრეალთან შეხვედრაში. ნიუიორკელებმა აქაც წინ გაუშვეს მეტოქე და უდიდესი ძალისხმევით გამოგლიჯეს ქულა. „რეინჯერმა“ სკრუდლანდმა 2 მატჩში 3 გოლი გაახერხა, მონრეალელმა კორსონმა (1+1) კი მე-12 გოლი გაიტანა.

ანაჰაიმელმა სელიანემ (1+1), რომელიც ფილადელფიელ ლეკლერის მთავარი კონკურენტია სნაიპერთა ჭიდილში, თავისი საგოლე მარაგი 24-მდე გაზარდა, მაგრამ მის გუნდს პიტსბურგმა მაინც აჯობა. მასპინძელთაგან ბრწყინვალედ ითამაშა იაგრისა და ფრენსისის (1+3) წამყვანმა წყვილმა. ჩეხი სნაიპერი, რომელმაც ბოლო ხანს ლიდერობა იტვირთა, დიდი მონდომებით ასპარეზობს, ახლა მას ფინელ სნაიპერთან პირადმა დუელმაც მისცა სტიმული და იაგრმა 2 გოლითა და 1 პასით ლომის წილი დაიდო ანაჰაიმის გამარჯვებაში.

ცოტაც და, იშვიათად გამტანი ვაშინგტონელი მცველი ტომსი მისი გუნდისა და ფლორიდის ორმატჩიანი დუელის გმირი გახდებოდა. ჯერ იყო და, მცველმა ოვერტაიმში პირველი მატჩი მოაგებინა თანაგუნდელებს, მეორე, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩის 51-ე წუთზე კი ანგარიში 4:4 გახადა, მაგრამ „პანტერებმა“, რომლებიც ბოსტონთან სენსაციური (10:5) მოგების შემდეგ კვლავ უფერულად გამოიყურებოდნენ, მოახერხეს მეტოქის ძლევა და მეტად საჭირო საშინაო გამარჯვება მოიპოვეს — მოგეხსენებათ, ისინი ჯერჯერობით სტუმრად უკეთ ასპარეზობენ. ფლორიდელმა განიემ (13) და ვაშინგტონელმა ზედნიკმა (10) ორ-ორი გოლი გაიტანეს.

სენტ ლუისის რიგებში ტრავმის მერე დაბრუნებულმა ტარჯონმა კვლავ გამოაცოცხლა კლუბის ლიდერი ჰალი და უკანასკნელ მატჩებში ეს წყვილი უგოლოდ არ ტოვებს მოედანს. ამჯერად ისინი გადამწყვეტი გოლების სულისჩამდგმელნი გახდნენ: ჯერ ჰალმა (1+1,15) გაიტანა რიცხვმრავლობაში, ოვერტაიმში კი პარტნიორთა პასებით მომარაგებულმა კურტნოლმა (12) გამარჯვება მოუტანა „ბლუზმენებს“.

ბოსტონელმა ჰაინცემ, რომელმაც შარშან მძიმე ტრავმა მიიღო და წელსაც ჩადგა მწყობრში, კაროლინასთან ჰეთ-თრიქი მიითვალა და ამას ერთი პასიც მიაყოლა.

**სამველ ლარიბიანი**

ევროპელები: ფორსბერგი (კოლორადო, შვედეთი) 39(9+30), ბურე (ვანკუვერი, რუსეთი) 35(18+17), სელიანე (ანაჰაიმი, ფინეთი) 33(24+9), რაიჰელი (აილენდერსი, ჩეხეთი) 32(13+19), ბონდრა (ვაშინგტონი) 31(19+12), პალფი (აილენდერსი, ორივე — სლოვაკეთი) 30 (15+15), იაგრი (პიტსბურგი, ჩეხეთი) 30(13+17), იაშინი (ოტავა, რუსეთი) 29(11+12), შტუმპელი (ლოს ანჯელესი, სლოვაკეთი) 29(8+21), კოივუ (მონრეალი, ფინეთი) 28(7+21)

## მაკლინი განიწმინდა



ჯონ მაკლინი

ნიუ ჯერსის გენერალური მენეჯერი ლუ ლამორელო სიტყვის კაცი აღმოჩნდა. მან კლუბის ფორვარდს, ჯონ მაკლინს თხოვნა შეუსრულა: კვირას „ეშმაკთა“ ვეტერანი მცველ სატონთან ერთად ლამორელომ სან ხოსეში გაუშვა, მათ ნაცვლად კი გამოცდილი მცველი დუგ ბოჯერი (98 შაიბა და 405 პასი კარიერაში) და ძალოვანი ფორვარდი დოდი ვუდი მიიპატიჟა, თუმცა, მენეჯერმა ამ „ტრეიდს“ იძულებითი უწოდა.

## რენბერგიც დააწინაურეს

შვედი მიქაელ რენბერგი ფილადელფიიდან ტამპაში წელს გადავიდა, მაგრამ უკვე დაიმსახურა პარტნიორთა პატივისცემა. ლეგიონერის ავტორიტეტს კლუბის ახალმა მწვრთნელმა ჟაკ დემერმა კუთვნილი მიუზღო და რენბერგი „ელვების“ კაპიტნად აირჩია. შეგახსენებთ, რომ ევროპელები კიდევ ორ გუნდს — ტორონტოსა (სუნდინი) და ანაჰაიმს (აქ კარიას დროებით სელიანე ცვლის) უძღვებიან, რაც ნჰლ-ისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა.

„ოლ ბლექსის“ ტურნე

ბოლო, IX თამაში. მეორე ტესტი. 6.12. ლონდონი, ტვიკნემი. 75 ათასი მაყურებელი

## ინგლისი 26:26 ზელანდია

(23:9). მსაჯი (დრო) ჯიმ ფლემინგი (შოტლანდია) (43 + 43')

ინგლისი: პერი; რიისი (სტიმპსონი 6-17), გრინვუდი, დეგლენვილი (სტიმპსონი 63), ჰიილი; გრეისონი, ბრაკენი (დოუსონი 71) — ლეონარდი, კოკრილი (რიგანი 68), გარფორთი; ჯონსონი, არჩერი; დალალიო კაპ, ბეკი (შიზბი 21-29), ჰილი. — პლ: რიისი (5), ჰილი (9), დალალიო (16); გ (16) და 3ს (20, 43, 75): გრეისონი

ახ. ზელანდია: კალენი; ვილსონი, ბანსი (მაკლეოდი 81), ლიტლი (სპენსერი 69), ლომუ; მერტენსი, მარშალი კაპ — ალენი, ჰიუიტი, ბრაუნი; ი. ჯოუნზი, რ. ბრუკი; რენდელი, კრონფელდი (რაიკლმანი 33-37), ზ. ბრუკი. — 2ლ: მერტენსი (47), ლიტლი (67); 2გ და 4ს (14, 32, 36, 57): მერტენსი



და ჰა, გასრულდა წლევანდელი სატესტო სეზონი. ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსმა“ შეუძლებელი ვერ შეიძლო — ვეღარ გაიმარჯვა წლის ბოლო, მე-12 შერკინებაში და 100-პროცენტა შედეგსაც ვერ გამოკრა ხელი.

ინგლისმა ისევ ვერ მოუგო სამხრეთი ნახევარსფეროს ყოჩს, მაგრამ ისე ითამაშა, რომ გული უნდა მიეცეს. უეჭველია, გუნდი თანდათან გაძლიერდება და ორი წლის თავზე, უელსის მსოფლიო თასზე უდაო ფავორიტი იქნება.

სამხრეთმა აფრიკამ მორიგი ჩრდილოელი მეტოქე მოსრა. გადახალისებული გუნდი ისე რაგბობს, როგორც „ქურციკების“ ტრადიციას ეკადრება. თანამედროვე სტილში მობურთავე აფრიკანერები ჰეგემონობას გაისადვე შეეცილებიან „ოლ ბლექსს“, რაც მთელი მსოფლიოს რაგბის ქომაგებს იშვიათ ომებსა და სანახაობას უქადის.

# თავგანწირვა რას არ შეგაძლებინებს!

ინგლისსაც შეძლებია რაგბის თამაში და მერე როგორის: ჯიგრიანის, სწრაფის, კოლექტიურისა და გონივრულის. ერთი სიტყვით ისეთის, ბოლო ხანს „ტოტალური“ რომ შეარქვეს.

ზედიზედ ოთხი შაბათის მანძილზე პომები სამხრეთ ნახევარსფეროელ გრანდებს შინ ეთამაშებოდნენ. მათი კაპიტანი ლორენს დალალიო ამბობდა, კარგა ხანია მსოფლიო რაგბის მეორე ჯგუფის (დივიზიონის) ლიდერებად ვითვლებით, მაგრამ რაღაც არა მგონია, რომ ბევრით ჩამოვრჩებით პირველ ჯგუფს; ახლა ერთი დიდი სკუპი უნდა ვქნათ და საუკეთესონი დავამარცხოთო.

დალალიომ დანაქადევს ლამის იყო ხორცი შეასხა. მისი თანამებრძოლები ისე ეძგერნენ „ოლ ბლექსს“, რომ ზელანდია საწყისი 20 წუთი გონს ვერ მოვიდა. მერეც, სტუმრებმა თავიანთი სარაგბო მანქანა რომ გამართეს და ქულების გამომუშავება დაიწყეს, მასპინძლებმა მაქსიმალურად შეუზღუდეს წარმადობა და თუ ვერ მოიგეს, საპატიო ფრეს მაინც მიაღწიეს.

გაიხარებდა ინგლისის ახალი მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი. დამრიგებელი გუნდს თავადაც აშკარად მოუხდა და მრჩეველიც რიგიანი აიყვანა: რაგბის საუკუნოვანი მტრის — 13-კაცა ლიგის ბრიტანელი გურუ ფილ ლარდერი. ეს 52 წლის სპეციალისტი ნაკრების წევრებთან ინდივიდუალურად მუშაობს, რაკი მიაჩნია, რომ ტესტრაგბში მოგება-წაგებას ერთი გოჯი აშორებს.

ვუდვორდი ლიგელზე ამბობს, კაცი ისეთი სპორტიდან გადმოვიბირეთ, რომელსაც უდიდეს პატივსა ვცემო. თავად ფილი ლიგისა და რაგბის შერწყმის წინააღმდეგია, მაგრამ იმ აზრზე კი დგას, რომ ორი ბურთაობის შერიგება და თანამშრომლობა აუცილებელია. ამიტომ ინგლისის რაგბის კავშირის წინადადებას დაყაბულდა და ბრიტანეთის ლიგის ნაკრების მწვრთნელყოფილი მორაგბეთა დაოსტატების მეთვალყურედ ოფიციალურად დაინიშნა. ლარდერი გუნდთან სამემოდგომო სერიალის წინ მიუშვეს, მაგრამ ბიჭებს ხელი უკვე დაატყო: ინგლისელები ლიგურ ყაიდაზე, ხროვად, გამგელებული ბოჭავენ მეტოქეს.



ასე ბოჭავდნენ ლომუს

„ოლ ბლექსის“ ჰაკას ორი დამწყები უყვდა — კვაჰი ჰიუიტი და ზინზან ბრუკი, ვინაც ბოლო, 58-ე კეპს იხვეჭდა. სტუმრებმა მოსეირეთა გნიასში შეასრულეს რიტუალი. ორი კვირის წინდელი კონფლიქტი აღარ გამეორებულა — ინგლისის კვაჰი კოკრილი ამჯერად თვინიერად ილიმებოდა.

კიკ-ოფი ინგლისმა შეასრულა და საწყისი ათი წუთი მეტოქე სახტად დატოვა. მასპინძლებმა საგოლე ჯარიმა კიდეზე გადაიტანეს, მერე ორივე გარემარბმა რიგ-რიგობით გაინავარდა, მერტენსის მიერ მოგერიებული ბურთით კი ჩია რიისი ვეება ლომუზე მივიდა, ფეხით თავზე გადაუგდო და თუმც ბანსმა და კრონფელდმა შებოჭეს, ალამთან მაინც დაამიწა 5:0.

მერე იყო ინგლისის მორიგი იერიში, რაც გაწევ-გამოწევით დასრულდა. მერე ერთიც: გრეისონმა და ჰიილიმ მარცხნივ ჩაათამაშეს ბურთი, გრინვუდმა რამდენიმე კაცი ჩამოიცილა და შებოჭილმა ჰილს დაუგდო 10:0.

„ოლ ბლექსი“ ჯერ უარესად დაიბნა. მერე სადა, მეტოქის დასათრგუნ, ჯახიან თამაშზე გადავიდა. აქედან მოყოლებული ლომუ თავისი ფრთიდან ხშირად გადადიოდა სიღრმისკენ და დიდ ომობანაში იყო. იგი ბარემ 15-ჯერ ჩაერთო თამაშში, მაგრამ პომებმა ყოველთვის ძირს დასცეს. ზოგჯერ საამისოდ სამი მათიანის დაჭიდებაც ხდებოდა საჭირო.

ლომუს, ჰიუიტისა და ზინზანის გამოისობით მერტენსმა კარის წინიდან დაკრა 10:3, მაგრამ პომებმა ბანსი ისე შებოჭეს, რომ ამან ბურთი დააგდო. დალალიომ მას ორჯერ მიკრა ფეხი და ლელოში ლომუსა და მარშალის ცხვირწინ დაახტა 17:3. მერე ლომუ სტიმპსონს კისერში წვდა და ბრაკენის, ჰიილისა და გრინვუდის დაწყებული იერიში ასე ჩაშალა, მაგრამ გრინვუდის მორიგ გაჭრას ისევ ჯარიმა მოყვა, კარის წინ 20:3.

ზელანდია ივლისში სამხრეთ აფრიკასთან 16 ქულას კი აგებდა, მაგრამ მაინც მოიგო. 23-ე წუთზე კალენი რომ გაიჭრა ლელოსკენ, ყველას ალბათ იგივე უგრძნო გულმა, მაგრამ „პაეკაკარიკელ ექსპრესს“ ჰიილი დაეწია და შებოჭა, წამოსწრებული ჰიუიტი კი ჰილმა დასცა. „ოლ ბლექსმა“ ასე გააფუჭა სალელოე შანსი, რაც თამაშის ბოლომდე კიდევ რვაჯერ (!) მოუვიდა. დამნაშავე ყოველ ჯერზე ინგლისელთა სასწაული ბოჭვა იყო. მის გამო ზელანდია კრიტიკულ მომენტში კარგავდა ბურთს.

ჩაისვარა მერტენსმა: 27-ე წუთზე კარის წინიდან გაუცუდდა საჯარიმო, 78-ე წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან არეკნიც ააცილა კარს. არადა, ამ დროს მასპინძლებს ანგარიში სულ ცოტა ხნის გაყაიმებული ქონდათ.



ასე დასდევდნენ კალენს

დიახ, თამაშის ბოლოს წინ უკვე სტუმრები იყვნენ. მათ ამას თანდათან, მეთოდურად მიაღწიეს. ინგლისი სასტარტო ბლიცმა დაღალა. თამაშის ბოლო საათი თითქმის სულ ზელანდია უტევდა, მაგრამ პომები მაინც მაგრად იდგნენ. ლომუსი უკვე ვთქვით. ბანსი და ლიტლი ზედმეტად აფერხებდნენ ბურთს, ვილსონი საერთოდ არ ჩანდა, შერკინების წინა ორი ხაზი თავდახრილი მუშაკობდა, მარბიელი კრონფელდი კი მეტოქეს იერიშშიც ააცლიდა ხოლმე ბურთს.

შესვენებამდე მერტენსმა ორი გოლი შეაგდო 20:9. ანამდე დალალიომ (!) ლელოდან ფეხით ორჯერ მოიგერია ბურთი. ინგლისი პირველ ჯერზე პერის ავანტიურის შემდეგ დაჯარიმდა, მეორედ — ლომუს ორგზისი მიძალების გამო. 37-ე წუთზე მერტენსისა და კალენის ჭვრის შემდეგ პერიმ საუცხოოდ შეიგდო მეტოქის ფულ-ბეკი. მერე იგი კიდევ შიაბრძანეს კიდეზე, მე-40 წუთზეც მორკინალთა სამი, რაკითან ახლო დარტყმის შემდეგ კალენმა მაინც გაჭრა ხაზი, და რენდელის პასით ვილსონი ლელოში შეიჭრა, მაგრამ მსაჯმა წინ თამაში აღნუსხა. ტაიმის დამლევს გრეისონი უბურთოდ რომ მოცელეს, ამან 30 მეტრიდან გაიტანა გოლი 23:9.

ზელანდია როცა იგებს, შესვენებაზე მოედანზე რჩება ხოლმე. ამჯერად „ოლ ბლექსი“ გასახდელში გაიკრიფა, იქედან კი შემართული დაბრუნდა. ინგლისმა ოთხი წუთი იცვა თავი, კრონფელდიც გააჩერა, მაგრამ შტურმის ბოლოს ზელანდიამ ახლოდან გაათამაშა ჯარიმა და მერტენსი კართან შეცუნცულდა ლელოში 23:16.

სტუმრები უფრო გაშმაგდნენ. ლომუს გარღვევის შემდეგ ვილსონი აცდა მარშალის პასს. მერე ლომუს ორგზის მიძალებასა და ლიტლის, ბანსისა და ჯოუნზის გარღვევებს მერტენსის გოლი მოყვა 23:19.

ორი წუთის შემდეგ ინგლისი კიდევ გადაურჩა ლელოს: შებოჭილმა მარშალმა ბურთი ჩაკლა და დაჯარიმდა. ეს ბოჭვა დეგლენვილს ტვინის შერყევად დაუჯდა. სამ წუთში მერტენსისა და ლიტლის მორიგი ჭვარი და მორიგი გაუტანელი ლელო. ზელანდიელებმა ისევ შებოჭილებმა ითამაშეს.

64-ე წუთზე იყოჩაღა დალალიომ: უპატრონო ბურთს ისევ მიკრა ფეხი. იგი ვილსონმა ზედ თავის კარის წინ აილო. ინგლისმა ზედახორაში დაითრია ბურთი, მაგრამ პერის სიბეცის გამო თამაშის გარდამტეხი ლელო ვერ გაიტანა. ეგრე არ უნდაო და კალენმა მორიგი გარღვევა მოაწყო. მასპინძლებმა ბურთი აიღეს, მერე დაკარგეს, რაც „ხარ“ ალენის გაქანებითა და მოკლე ფრთაზე ლიტლის გასეირნებით დასრულდა 23:26.

ინგლისის საქმე ცუდად იყო. 70-ე წუთზე „ოლ ბლექსმა“ 9-ფაზიანი (!) შეტევა განახორციელა. სტუმრები წინ ჯიქურ, მტკაველ-მტკაველ მიიწევდნენ. ლომუს ბურთი სამჯერ ქონდა. ლელომდე 10 მეტრი რომ დარჩა, ბურთი წინ ზინზანს გაუვარდა.

იღბალმა ინგლისი მაინც არ გაწირა. გრეისონმა რიისს გადაუკიდა ბურთი, ამას კი ლომუმ კიდიდან უცებ მოწოდება არ დაანება. თავისუფალიდან ინგლისმა ეშხიანი ბურთაობა გააჩაღა. მასში ისევ და ისევ გრინვუდმა და დალალიომ გაიბრწყინეს, მაგრამ ლელოს შანსი რომ ამოიწურა, გრეისონმა საჯარიმოთი გააყაიმა მატჩი 26:26.

ინგლისმა მერე მოგებაც ცადა. კალენსა და ზინზანს ბურთი ისევ ჰიილიმ ააცალა. „ოლ ბლექსი“ ბევრს მიედ-მოედო, მერტენსმაც კარს ააცილა არეკნი. ბოლოს მოედანზე შვიდკაცა გაჩაღდა. მერე ისევ ზელანდია უტევდა: რენდელი, ალენი, ჰიუიტი, კიდევ კალენი, პროფესიული ხანის ტიტანთა ტიტანური შერკინება კი იმით დასრულდა, რომ მოლი კიდეზე გადავიდა.

სამართლიანი ფრე. წასაგებად ხომ ორივე გუნდი ცოდო იყო!

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

თბილისის რაგბის გულშემატკივრობა უღრმესად მადლობელია ტელე-რადიო-კომპანია VII არხისა, რომელმაც უმაღლესი დონის ბურთაობა არც ამ შემოდგომაზე მოაკლო მაყურებელს. „სარბიელის“ უცხოურ რაგბზე მწერალი ამგვარადვე დავალებულია ძველი მორაგბისა და ცნობილი მოქანდაკის გია ჯაფარიძისგან, ვისი ბინაც ბოლო ოთხი შაბათის მანძილზე ნალდ რაგბი-ხანად იქცა.

ნიკ მალიტის მიერ გაწვრთნილმა „ქურციკებმა“ ევროპული ტურნე მორიგი რეკორდებით დაასრულეს.

ერთი, რომ ხუთიდან ხუთი ტესტი მოიგეს. მეორეც, შოტლანდიას 68 ქულა აქამდე არავისგან გაუშვია. და მესამეც, 28 წლის ჯეიმზ სმოლმა, ადრე გიუმაყი რომ იყო, ახლა კი რომ დადინჯებულა და ნაკრებში თანაგუნდელთა თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარების ორგანიზება ევალება, სატესტო მონაგარი 20 ლელოს უწია, რაც ერთით ჯობს ლეგენდარულ შუამარბ დანი ჰერბერის შედეგს.

„ქურციკებმა“ ტურნეს ტესტებში 35 ლელო გაიტანეს. იტალია დალელოვდა 9-ჯერ, საფრანგეთი 5 და 7-ჯერ, ინგლისი — 4-ჯერ, შოტლანდია — 10-ჯერ. კეიპტაუნელმა პიტერ როსუმ თავი 8-ჯერ ისახელა, ფულ-ბეკად გადაყვანილმა, ასევე კეიპტაუნელმა შუამარბმა პერსივალ მონტგომერიმ კი ბოლო თამაშში 26 ქულას გამოკრა ხელი, მაგრამ ეროვნულ რეკორდამდე სამი მაინც დააკლდა.

„ქურციკების“ ტურნე

ბოლო, VII თამაში. მხოლო ტესტი. 6.12. ედინბურგი, მარიფილდი. 55 ათასი მოსეირე

(3:14). მსაჯი პატრიკ ტომა (საფრანგეთი)

## შოტლანდია 10:68 აფრიკა

შოტლანდია: შეპარდი; ჯოინერი, სტეინჯერი (პოჯი დროებით), ჩალმერსი (პოჯი), სტარკი; ტაუნზენდი, ნიკოლი (არმსტრონგი) — ჰილტონი (გრეემი), ბულოკი, სტიუარტი; კემბელი, მარი; ვეინრაიტი კაპ, ი. სმითი, პიტერსი (ვოლტონი). — ლ: სტარკი; გ და ს: შეპარდი

სამხრ. აფრიკა: მონტგომერი; სმოლი (სვარტი), სნაიმანი, მიუირი, როსუ; დებეერი (ფ. სმითი), სვონეპული — დიურანი (მეიერი), დოლტონი, გარვი; ენდრიუზი, ოტო; ერაზმუსი, ფენტერი, ტაიხმანი კაპ. — 10ლ: მონტგომერი 2, ერაზმუსი, სმოლი 2, როსუ, ტაიხმანი, ფენტერი, სნაიმანი, სმითი; 9გ: დებეერი, მონტგომერი 8

# რაცკი ირაგბეს, არ დარჩათ რეკორდი დაუმხობელი

შოტლანდიამ სამხრეთ აფრიკასთან მარიფილდში ამ სამი წლის წინაც მაგრად წააგო 10:34. 1951 წელს, იქვე, იმ დროისთვის საარაკო მარცხიც შეემთხვა 0:44, მაგრამ მაშინდელი 9-ლელოიანი განადგურება ამ შაბათისამ აშკარად დაჩრდილა.



სმოლმა მოკრძალებით თქვა, 20 ლელო 46 ტესტში გავიტანე, მაშინ როცა დიდმა ჰერბერმა ერთით ნაკლები 23 თამაშში დააგროვაო

მასპინძლებმა ორი კვირის წინ ავსტრალიასთან 8:37 რომ წააგეს, ბეკებში სამი კაცი დაითხოვეს, მათ შორის ნალიგარი ალან ტეიტიც, რომელიც ხაზის ფრიადი გამჭრელია. მოკვეთდა გუნდის თავი, „ლომი“ რობ ვეინრაიტიც, 10 ნომრად კი დარჩა გრეგორ ტაუნზენდი, ვინაც „ლომთა“ პივოტი იყო ივნის-ივლისში, როცა ბრიტანელებმა სამხრეთ აფრიკას მისსავე მოედნებზე ეპოქალური მარცხი აგემეს.

დამარცხებული და შეურაცხყოფილი ტაუნზენდი ამჯერად სიმწრით ტიროდა. მალიტმა ისე გარდაქმნა „ლომთა“ მიერ დაბრიყვებული გუნდი, რომ მისი მარტორქამორკინალები ქურციკებივით დაქრიან და დათარეშობენ, უკანა ხაზი კი საერთოდ მოუხელთებელი გამხდარა. მისთვის სულ ერთია, ნახევარდაცვაში ვინა დგას.

აი, მარიფილდის შებმის წინ ჰონიბალი ტრავმის გამო გავარდა, დებეერი კი 35-ე წუთზე მეორე ლელოს გატანას შეეწირა. გამოვიდა მესამე 10 ნომერი ფრანკო სმითი, მაგრამ სტუმრების ბურთაობას ამით არა დაშავებია რა. შოტლანდიაც ბოლოს მთლად წახდა და დასკვნით ათ წუთში კიდევ ოთხი ლელო გაუშვა.

**ნიკო ვეფხვაძე**

კრიმინალური ქრონიკა

# სელდონი ტაისონის გზას დადგომია

**30 წლის ბრუს სელდონი „ატლანტიკ-სიტელი ექსპრესია“. ბიჭმა კრივი არასრულწლოვანთა კოლონიაში ისწავლა, სადაც ყაჩაღობისთვის ოთხნახევარი წელი დაყო. 1987 წელს ბრუსი ციხიდან გამოვიდა და ერთი პერობა კრივის მსოფლიო ასოციაციის (ვბა) მძიმეწონოსანი ჩემპიონიც იყო, მაგრამ 1996 წლის 7 სექტემბერს ლას-ვეგასში მხოლოდ 109 წამი გაუძალიანდა მაიკ ტაისონს და სარტყელი მას გადააბარა.**

მაიკი ციხეში თავის დროზე ქალის გაბახვისთვის იჯდა. ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბრუსი, ვინაც ტიტულის დაკარგვის შემდეგ ერთი წელი დაისვენა და ვარჯიშს მალე უნდა შეუდგეს, გამლახველის გზას დაადგა.

სელდონი 27 ნოემბერს დააკავა ნიუ-ჯერზის პოლიციამ. ამის საბაბი გახდა 15 წლის ანონიმი გოგოს დასმენა, ბრუსმა ცხრა დღის წინ ატლანტიკ-სიტის ქუჩაში მანქანა გამიჩერა, შინ, გლოსტერში მიმიყვანა და სამჯერ ამხადა ნამუსიო. მოკრივე პოლიციამ თავდებით გაათავისუფლა და გირაოდ 50 ათასი დოლარი დაატოვებინა.

სელდონის მენეჯერი როკო დიპერშა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. მისი მტკიცებით, რაც ბრუსი დავაჟკაცდა, კანონი არასოდეს დაურღვევია. გოგოც იმიტომ ჩაუსვამს მანქანაში, რომ იგი დისა და ყოფილი სპარინგ-პარტნიორის დობილად გაცნობია.

მოკრივე ამბობს, მომჩივანი არ გამიუპატიურებიაო. დიპერშა ამტკიცებს, ბრუსი მამასთან ერთად ცხოვრობს და ამგვარ არაკაცობას მშობლის თვალწინ ხომ არ ჩაიდენდაო. გარდა ამისა, გოგო სრულწლოვანიც ეგონაო (?!)

ბრუსს მოსარჩლე იმასაც აბრალებს, შინ რომ მივყავდი, მოსაწევად მარიხუანა შემომთავაზაო. ამის გამგონე პოლიციას სელდონების სახლის ჩხრეკის ორდერი გამოუწერია, რეიდის შედეგად კი ძალადობის სამხილიც საკმაოდ მოუძიებია და ბინაში ნარკოტიკის მცირე ულუფის გარდა თოფი და სასტარტო პისტოლეტი აღმოუჩენია.



**მოკრივეს სისხლის სამართლის კოდექსის ერთბაშად სამი მუხლით წაუყენეს ბრალდება.**

**რეზო ნემსაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29